ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

25 აპრილიდან!
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
მე-3 ტომი
კანიბალიზმის ისტორია
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




jhif,fsb7 #) fghbkb7 @)!@ 1101 (5791) afcb5 #) stshb

# სცემა თუ არა სააკაშვილმა პავლე კუბლაშვილს



რა ჭორები დადის ტყიბულში

გვ.2



## შაშკინი განათლების მინისტრი კი არა, პურის ქარხნის დირექტორია



გვ.3

როგორ ელაპარაკება განათლების მინისტრი სტუდენტებს



გვ.6

პატრიარქმა ცოლების ქმრების მორჩილებისკენ მოუწოდა

## ნებაყოფლობით რეზერვში ძალით წაგიყვანენ!



გვ.4



გვ.7

## მამუკა გიორგაძე: რუსეთი სააკაშვილს ეხმარება“

ხათუნა კალმახელიძე იტყუება გვ.6

## თორნიკე შარაშენიძე: ალასანია მტრის ნისქვილზე ასხამს წყალს“

გვ.2



**ყურადღება!!!**

უყურეთ „მეცხრე არხს“ GLOBAL TV-ის და TURKSAT-ის თანამგზავრის მეშვეობით შემდეგ მონაცემებზე:

- პოზიცია – 42 (გრადუსი);
- სიხშირე – 12638 V;
- სისტემა – DVB –S;
- SRFEC – 4074 5/6.

## მერაბიშვილი პედაგოგებს ატერორებს



გვ.3

ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
რფდყხდვ
* კფვპბ
!* ფგპბკბლფყ




ISSN 1987-9385

2 ალავერდის მონასტერი ისევ საფრთხეშია

4 მიხეილ სააკაშვილმა რუსთავში განახლებული ავტოდრომი გახსნა

10 ლიბერტარიანელმა ევროპას საქართველო გაახსენა

11 საფრანგეთში ბორის ბერეზოვსკის ქონება დააპატიმრეს

# თორნიკე შარაშენიძე: ალასანია მტრის წისქვილზე ასხამს წყალს“



ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ თორნიკე შარაშენიძესთან

***– ბატონო თორნიკე, ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლა რამდენად შეუშლის ხელს მოლაპარაკებების საერთოდ არსებობას და ვის აწყობს ეს?***

– ამ მოლაპარაკებების ჩაშლა რუსეთს აწყობს. რუსეთს უნდა, რომ საქართველოს რაღაც-რაღაცები თავს მოახვიოს. ეს რომ არ გამოსდის, როგორც ჩანს, ახლა ტაქტიკა უნდა შეცვალოს და ჩაშალოს ეს მოლაპარაკებები და შემდეგ დაელოდოს ქართული მხარის რეაქციას.

***– ქართული მხარის რეაქციაა, რომ მოლაპარაკებები უნდა განახლდეს, სხვათა შორის, არა მხოლოდ ქართული მხარის...***

– დიახ. საბოლოო ჯამში მე მაინც ვფიქრობ, რომ აღდგება. როგორც ჩანს, ისეთი ტენდენციაა, რომ აფხაზებმა ყველანაირი მოჩვენებითი დამოუკიდებლობა თავიდან ბოლომდე დაკარგეს და მოსკოვის ბრძანებებს ასრულებენ. ამით აიხსნება მათი გამოხტომა, რომელიც ბოლო დროს ჰქონდათ აფხაზებს დიმიტროვთან მიმართებაში, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელთან მიმართებაში. ეს ალბათ ამით აიხსნება.

***– რუსეთის პოზიციას ახმოვანებენ აფხაზები?***

– სიმართლე გითხრათ, არც აფხაზების დიპლომატიაზე მაქვს დიდი წარმოდგენა. შეიძლება მათაც დაკარგეს ყველანაირი რეალობის აღქმა, მაგრამ ერთად არის. მათ რეალობის შეგრძნება დაკარგეს და პარალელურად მოსკოვიდან მისდით მსგავსი ბრძანებები და ისინიც ამ ბრძნებებს, როგორც ჩანს, ხალისიანად ასრულებენ.

***– თუმცა, როდესაც ანქვაბი იქნა არჩეული თითქოს ის მისი წინამორბედებისგან განსხვავებულ პოლიტიკას გაატარებდა...***

– არა, მე ამის ილუზია არასდროს მქონია.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ ჟენევის ფორმატი მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის იყო და რეალური შედეგი არ ჰქონდა?***

– ჟენევის მოლაპარაკებებს ჩვენთვის მნიშვნელობა იმისთვის გქონდა, რომ ჩვენ ჩვენი თავი წარმოგვეჩინა, რომ ჩვენ კონსტრუქციული მხარე ვართ და ჩვენ გვინდა მოლაპარაკებები. ამით იყო მნიშვნელოვანი ჟენევის მოლაპარაკებები. რუსეთს, როგორც ჩანს, ახლა ამ მოლაპარაკებების ჩაშლა დასჭირდა რაღაც ეტაპზე, რადგან ჩათვალა, რომ თავის მიზნებს საქართველოში ვერ აღწევს და ალბათ რაღაც დონეზე ჩვენი დაშინება სჭირდება. ამით აიხსნება ალბათ მათი ნაბიჯი.

***– ამ ფონზე მედვედევმა სააკაშვილთან და ქართველ ხალხთან დაკავშირებით ისევ გააკეთა განცხადება, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ნულია...***

– ჩემი აზრით, მედვედევის განცხადება ძალიან მარტივად იშიფრება. მედვედევი მიდის, მიდის, როგორც წარუმატებელი პრეზიდენტი. ეს ნამდვილად ასეა.

***– მისი პრეზიდენტობის დროს ომი იყო...***

– დიახ, ომი იყო, მაგრამ ამ ომმა საბოლოო ჯამში შედეგი ვერ გამოიღო, მიზანი, როემლიც ამ ომს ჰქონდა, ვერ იქნა მიღწეული. რუსეთისთვის ის შედეგი ვერ მოიტანა, რაც ჰქონდა გათვლილი. რუსეთის საბოლოო მიზანი ამ ომით ჩვენი ტერიტორიების წაგლეჯა არ ყოფილა. ეს ტერიტორიები რუსეთისთვის დიდი თავის ტკივილი და ხათაბალა უფროა, ვიდრე დიდი ხეირი, როგორც ვიღაცას ჰგონია. საქმის ბოლომდე მიყვანა იყო ამ ომის მიზანი, მაგრამ მედვედევმა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ამის შემდეგ, მიდის და მუშტებს იქნევს. ამით არის ეს გაბრაზება გამოწვეული.

***– მუშტებს იქნევს, მაგრამ რეალურად რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან?***

– ისინი საქართველოში არჩევნებს ელოდებიან. ამისთვის აქტიურად ემზადებიან. ბუნებრივია, მათი მთავარი მიზანი არის ახლა ჩვენთან სიტუაციის არევა. საქართველოს დისკრედიტაცია, საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დისკრედიტაცია. მათი მთავარი მიზანია ქართველებს მაინც არაფერი არ გამოუვათ. საბოლოო ჯამში ამას მოუთმენლად ელოდებიან.

***– რამდენად გამოუვათ?***

– ძალიან ბევრი დამოკიდებული არის იმაზე, თუ რას იზამს მთავრობა და ოპოზიცია რამდენად გამოიჩენს პასუხისმგებლობას და სახელმწიფოებრივ აზროვნებას.

***– ჯერჯერობით ამ მიმართულებით როგორ არის საქმე?***

– სამწუხაროდ, საქმე გვაქვს პოლარიზაციასთან. საკმაოდ სერიოზულ პოლარიზაციასთან, რაც ნამდვილად არა რის კარგი. კეთდება რადიკალური განცხადებები.

***– კონკრეტულად?***

– ალბათ, საოცარი იყო ალასანიას განცხადება იმის თაობაზე, რომ სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ძალები იქმნება. ამ განცხადების სისწორე არ დაადასტურა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ. მიუხედავად ამისა, ალასანიას პოლიტიკური ძალის მხრიდან, არც მისი მხრიდან არ გაკეთებულა არანაირი განმარტებითი განცხადება. ეს ყველაფერი წყალს ასხამს ჩვენი მტრის წისქვილზე. მსგავს განცხადებებს პოლიტიკოსები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ....

***– თუმცა, ბოკერიამ გამოაქვეყნა სია...***

– ეს იყო პასუხი ალასანიას მიერ გადაგზავნილ მასალებზე.

***– არის მოსაზრება, რომ რუსეთის მხრიდან დაძაბულობა პიკს ზაფხულისთვის მიაღწევს. რას ელოდებით?***

– რუსები მიხვდნენ, რომ ომის შედეგები მოილია საქართველომ, ყველაფრის მიუხედავად ვითარდება. პუტინი შეიძლება ნანობდეს, რომ აგრესია ბოლომდე არ მიიყვანა და არ არის გამორიცხული, რომ ახლა გამწვავებაზე წავიდეს. მით უმეტეს მიმდინარე წელი ხელსაყრელი შეიძლება იყოს რუსეთისთვის, რადგან შემდეგ ოლიმპიადა ახლოვდება. თუმცა, არჩევნებია წინ და შეიძლება ამ ზაფხულს არ იჩქარონ პროცესების გამწვავება. მე ვფიქრობ, მაინც არჩევნებს დაელოდებიან. თუ არჩევნები ალიარებული იქნა ყველა მხრიდან ნორმალურად, შემდეგ რუსეთს მოქმედების თავისუფლება ეზღუდება. არჩევნების წინ მაქსიმალურად მოხდება გამწვავება რუსეთის მხრიდან, რომ არჩევნების შედეგების დისკრედიტაცია მოხდეს.

# სცემა თუ არა სააკაშვილმა პავლე კუბლაშვილს

## რა ჭორები დადის ტყიბულში

თეა მარხვაიძე





ინტერნეტფორუმებზე გუშინ ერთი თემა ძალიან აქტიურად განიხილებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტს ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი შემოელახა. ამ ინფორმაციას ნაციონალურ მოძრაობაში არ ადასტურებენ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ელისო ჩაფიძის ინფორმაციით, ამ ინციდენტზე ტყიბულში ბევრს ჭორაობენ.

საქართველოს პრეზიდენტი რეგიონებს ხშირად სტუმრობს. პირველმა პირმა ტყიბულისთვისაც მოიცალა. ჭორების ავტორთა თქმით, ამ ვოიაჟის დროს მას თან ახლდა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი პავლე კუბლაშვილიც.

ჩაფიძის მტკიცებით, სააკაშვილი ტყიბულში ნანახით უკმაყოფილო დარჩა. აქ ბევრი მართლა არაფერი გაკეთებულა. ჰოდა გაბრაზებულ პრეზიდენტს უთქვამს; თქვენ სახლებს რომ აშენებდით ცოტა ტყიბულისთვისაც მიგეხედათო.

– მე ნაციონალების პრივატულ საუბრებს არ ვესწრები. შესაბამისად, არ ვიცი რა მოხდა მათ შორის. არც იმას ვამტკიცებ, რომ სააკაშვილმა კუბლაშვილი ან გალახა, ან გალანძღა. „ამბები.გე“–სთან საუბარში მე ჟურნალისტმა დამისვა კითხვა მართლა სცემა თუ არა სააკაშვილმა კუბლაშვილს. მე ვუთხარი, რომ ასეთი ჭორები ტყიბულში არსებობს, ეს არის და ეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ელისო ჩაფიძემ.

ცნობისათვის, ელისო ჩაფიძე ამ არჩევნებში ტყიბულში იყრის კენჭს მაჟორიტარ დეპუტატად.

# კახეთის რეაბილიტაციის პროექტი ბიზნესმენებს ნიკა გილაურმა გააცნო

კახეთის რეაბილიტაციის პროექტი ბიზნესმენებსა და მედიის წარმომადგენლებს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ გააცნო.

პროექტი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება.

პრემიერის განმარტებით, კახეთის რებილიტაციისთვის 75 მლნ აშშ დოლარია გამოყოფილი, 60 მლნ აშშ დოლარი მსოფლიო ბანკიდან, ხოლო 15 მლნ – საქართველოს ბიუჯეტიდან.

„ეს თანხა კახეთში 2012 – 2013 წლებში დაიხარჯება. თანხის ნაწილი გაწერილია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე – კახეთის, ყვარელისა და დართლოს რეაბილიტაციაზე, ასევე, ადგილობრივი გზების მოწესრიგებაზე. ყველაფერი ეს მსოფლიო ბანკის დახმარებით გაკეთდება“– განაცხადა გილაურმა.

პრემიერმა კაჭრეთში გოლფის მოედნების სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა, რომელიც 35 ჰექტარზე განთავსდება.

ნიუსპრესი

# ალავერდის მონასტერი ისევ საფრთხეშია

თეა მარხვაიძე



ალავერდის სამონასტრო კომპლექსი ისევ საფრთხეშია. გასულ წელს მონასტერი რამდენჯერმე დაიტბორა. არ არის გამორიცხული იგივე განმეორდეს. რაც ტაძარს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ხელისუფლებაც ინფორმირებულია. თუმცა მარტო მათ იმედზე ყოფნა არ შეიძლება.

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ სასულიერო პირებმა შარშან გაზაფხულზეც გააფრთხილეს სათანადო ორგანოები. სათანადოებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ გაფრთხილებას და მონასტერი ორჯერ დაიტბორა.

ხელისუფლებამ მხოლოდ ამის შემდეგ ინება ყურადღების გამოჩენა. უნიკალური ძეგლის გადასარჩენად საერთაშორისო ორგანიზაციებიც გააქტიურდნენ. გასულ წელს მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა. სამწუხაროდ ალავერდი კვლავ საფრთხის ქვეშ არის.

სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსებით განხორციელებული პრევენციული სამუშაოების მიუხედავად, ალავერდის ტაძრის უსაფრთხოება დაცული არ არის. არსებობს სტიქიის განმეორების საფრთხე, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშს. ამ ინფორმაციას კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი სპეციალისტებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ალავერდის სამონასტრო კომპლექსი 2011 წლის 17 და 18 ივნისს დაიტბორა. ადიდებული მდინარე შავკაბას ხევიდან გადმოვარდნილმა წყალმა მონასტრის გალავანი დააზიანა, საფუტკრე მეურნეობა გაანადგურა, დაზიანდა საწყობი, სადურგლო და აბანო. როგორც მაშინ მიტროპოლიტმა დავითმა განაცხადა,ალავერდში არსებული მდგომარეობა საგანგაშო იყო, კედლები დაინესტა და უნიკალურ ფრესკებს საფრთხე შეექმნა. ექსკლუზიური ვიდეოჩანაწერი კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ალავერდის მონასტერში ექსპედიცია და სემინარი გაიმართება, რომლის მიზანიც ალავერდთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის კოორდინაციული გეგმის შემუშავება და პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრაა. სემინარზე განიხილება სამუშაო–საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის ინიციატივა, რომელშიც კომპეტენტური უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები უნდა ჩაერთვნენ.

სემინარის დაწყებამდე მოეწყობა ექსპედიცია გეოდინამიური პროცესების შესაფასებლად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები და ოფიციალური პირები ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებიდან, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა დიანტერესებული მხარეები. ექსპედიცია და სემინარი ხორციელდება პრინც კლაუსის ფონდის „დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროგრამის“ მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც 2011-2012 წლებში მონასტრის გარშემო პრევენციული სამუშაოები შესრულდა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ სემინარის და გაფრთხილების შემდეგ ხელისუფლება სათანადო ზომებს მიმართავს. რადგანაც, შეიძლება, მონასტერი კიდევ ერთხელ დაიყბოროს. ექსპერტების შეფასებით, მონასტერმა კიდევ ერთ წყალდიდობას შესაძლოა ველარ გაუძლოს.

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# მერაბიშვილი პედაგოგებს ატერორებს

ქეთი ხომერიკი

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის 87 %-იანი ნდობა აქვს. საქართველოში არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ამხელა რეიტინგით სარგებლობს. თვით „ნაციონალურ მოძრაობასაც“ კი არ გააჩნია იმხელა ნდობა, რაც პოლიციასა და პატრულს აქვს, რომ არსებობდეს თუნდაც მცირე ინფორმაცია ან განცდა, რომ პოლიცია პოლიტიზებულია, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ექნებოდა იმხელა ნდობა, რაც დღეს გააჩნია“ — განაცხადა ქვეყნის პირველმა პოლიციელმა ვანო მერაბიშვილმა პარლამენტის წინაშე სამთავრობო საათზე გამოსვლისას.**



ვანო მერაბიშვილი

როგორც ხედავთ, შინაგან საქმეთა მინისტრი მერაბიშვილი თვლის, რომ პოლიციისთვის გამოცხადებული საზოგადოების 87%-იანი მხარდაჭერა არის ნიშანი იმისა, რომ პოლიცია არ არის პოლიტიზებული, არადა, საინტერესოა, თავად მაინც თუ სჯერა ქვეყნის ხერხემალს იმის, რასაც აცხადებს. აი, საზოგადოების დიდ ნაწილს ამის კარგა ხანია არ სჯერა და თვლის, რომ მერაბიშვილმა თავისი განცხადებებით მათ თვალში ნაცარი ურცხვად შეაყარა. დიახ, ამის ნამდვილად არ სჯერათ იმ ადამიანებს, რომლებმაც პოლიციის პოლიტიზება საკუთარ თავზე გამოსცადეს. და ასეთი ადამიანები არცთუ ისე ცოტანი არიან. აი, ამის პედაგოგებსა და საჯარო სამსახურში მომუშავე ადამიანებსაც არ უნდა სჯეროდეთ. გახსოვთ, ალბათ, რომ ბოლო პერიოდი, მერაბიშვილი პედაგოგებთან შეხვედრებს მართავდა, სადაც კულუარული ინფორმაციით, ქვეყნის პირველმა პოლიციელმა პედაგოგებს მითითებები მისცა, არჩევნებზე როგორ უნდა მოიქცნენ. მერაბიშვილის მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ მათ ,,ნაციონალურ მოძრაობას“ მისცენ ხმა. მეტიც, როდესაც პედაგოგები შევლენ საარჩევნო კაბინაში მათ მობილური ტელეფონით უნდა გადაუღონ სურათი თავიანთ საარჩევნო ბიულეტენს, სადაც უნდა ჩანდეს, რომ მათ ნამდვილად ხმა ,,ნაციონალურ მოძრაობას“ მისცეს და შემოხაზეს 5 ნომერი. არჩევნების მეორე დღეს კი, ყველას ტელეფონს შეუმოწმებენ და ვისაც 5 ნომერი არ ექნება შემოხაზული, მძიმე დღეები ელით. კულუარული ინფორმაციით, ძალოვანი სტრუქტურები თავიანთ თანამშრომლებში და არა მარტო მათთან უკვე ნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნებში მხარი დაუჭირონ მიხეილ სააკაშვილის ,,ნაციონალურ მოძრაობას“. და მერაბიშვილს რომ ჰკითხოთ, პოლიცია სულაც არ არის პოლიტიზებული...

კულუარულ ინფორმაციასაც რომ თავი დავანებოთ, ამაზე არაერთმა ოპოზიციონერმა ისაუბრა. აი, მაგალითად, ,,დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ქვემო ქართლის ორგანიზაციის კოორდინატორმა თორნიკე არევაძემ. მისი თქმით, რუსთავში, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები პედაგოგებს ავალდებულებენ, საარჩევნო ყუთთან მობილურით გადაიღონ ფოტო, სადაც დაფიქსირებული იქნება, რომ ხუთი ნომერი შემოხაზეს. თორნიკე არევაძემ აღნიშნა, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები და მმართველი გუნდის წარმომადგენლები, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი რუსთავში პედაგოგებს აშანტაჟებენ. ,,თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვანო მერაბიშვილი პედაგოგებს ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემას აიძულებს. ხელისუფლება უკვე მე-10 დღეა რუსთავში პედაგოგებს კულტურის სახლში კრებს და მათ წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდას უწევს. ეს შეხვედრები ხალხის პრობლემების მოგვარებას კი არ ემსახურება, არამედ — საზოგადოების დაშინებას. მსგავსი აგიტაციური შეკრებებიდან პედაგოგები იმდენად დათრგუნულები და შეშინებულები ბრუნდებიან, რომ მათი საცოდაობით დაიწვებით,“ — განაცხადა თორნიკე არევაძემ.

მისი თქმით, ნაციონალები პედაგოგებს არა მარტო საკუთარ ხმას, არამედ ოჯახის წევრების ხმებსაც სთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაგდებით და ათასი სისაძაგლით ემუქრებიან. არა, მინისტრის გარდა ყველა იტყუება — პოლიცია არ არის პოლიტიზებული! კულუარული ინფორმაციით, პედაგოგების შემდეგ ჯერი ექიმებზე მიდგება. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, კი ძალოვან სტრუქტურებს უკვე დაევალათ, რომ მსჯავრდებულთა ოჯახებმა, პრობაციონერებმა და მათმა ოჯახებმა არჩევნებზე მხარი დაუჭირონ ნაციონალურ მოძრაობას. ყველას გვახსოვს, რომ 2008 წლის არჩევნების დროს გარკვეული ხმების სანაცვლოდ პატიმრებს ვადაზე ადრე ათავისუფლებდნენ, ამ საქმეს გივი თარგამაძე აგვარებდა. დღეს კი, ამის მოგვარება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. და რა იქნება იმ შემთხვევაში თუ არ მისცემს პრობაციონერი ნაციონალურ მოძრაობას ხმას? ეს ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — გონივრული ეჭვის საფუძველზე გააჩერებს მათ ვანოს უწყება და ან ნარკოტიკის შეძენა-შენახვაში დასდებენ ბრალს, ან პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ან ა.შ. მოფიქრება არ გაუჭირდებათ. ასე რომ, ამ ადამიანების ხმებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით ,,ნაცების“ ჯიბეში აღმოჩნდება, ისევე როგორც არაერთი პატიმრის. ბოლო საკანონმდებლო ცვლილების თანახმად ხომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ პატიმრებს, რომლებსაც ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი.

მერაბიშვილს რომ ჰკითხოთ, პოლიცია არ არის პოლიტიზებული ისევე, როგორც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ბოლო წლებია, არავინ დაუკავებიათ და საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პოლიციას ბოლო 3-4 წლის განმავლობაში დამნაშავის წინააღმდეგ იარაღი არ გამოუყენებია და არც ერთი მოქალაქე პოლიციელის იარაღით არ გარდაცვლილა. საინტერესოა, აქაც თუ სჯეროდა თავისი ნათქვამის მინისტრს. არადა, ჩვენ გვახსოვს 2012 წლის თებერვალში, ხაშურის პოლიციაში გარდაცვლილი სოსო ქიმერიძე, 2011 წლის 26 მაისის მიტინგის დარბევისას გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძე... თუმცა ამას თავად მინისტრი ამბობს და სხვა რა გზა გვაქვს უნდა დავუჯეროთ! ისე, ბოლო 3-4 წელს თავი, რომ დავანებოთ, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილისა და სანდრო გირგვლიანის საქმეები ნამდვილად არ დაგვავიწყდება.

ვანო მერაბიშვილის თქმით, სწორედ მათი წარმატებული საქმიანობის შედეგია ის, რომ პოლიციას მაღალი რეიტინგი აქვს. ჰოდა, ამიტომაც არ აპირებს ეს კაცი პოლიტიკიდან წასვლას, გიხაროდენ... ეს სასიხარულო ამბავი მინისტრის ბალათურიასადმი მიმართვისას შევიტყვეთ.

# შაშკინი განათლების მინისტრი კი არა, პურის ქარხნის დირექტორია

## როგორ ელაპარაკება განათლების მინისტრი სტუდენტებს

თეა მარხვაიძე

განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ბოლო დროს ძალიან გამომწვევად იქცევა. პარლამენტში მისულმა შაშკინმა ოპოზიცია მასხრად აიგდო. მან დეპუტატების კითხვები დააიგნორა, ამასთან, უთხრა ძალიან დაბალი დონის კითხვები დამისვითო. ამის გამო ის ოპოებმა თავხედობაში დაადანაშაულეს.



დიმიტრი შაშკინი

მინისტრს ქცევის წესები სტუდენტებმაც დაუწუნეს. წინა კვირაში შაშკინი ახალგაზრდებს შეხვდა. იმის მაგივრად, რომ სტუდენტების პრობლემებზე ესაუბრა, პურის საცხობებზე ისაუბრა. სტუდენტებმა ამის შემდეგ დაასკვნეს, რომ შაშკინზე პურის ქარხნის დირექტორობაა ზედგამოჭრილი.

რატომ გაიმეტეს შაშკინი ცომის საზელად, რა ტერმინებს ხმარობდა ის სტუდენტებთან შეხვედრისას, რატომ არ დაასწრეს შეხვედრას ჟურნალისტები ამ თემებზი „ახალ თაობას“ გიორგი გვიმრაძე ესაუბრება. ის „დემოკრატიული მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის და სტუდენტური ასოციაციის წევრია.

**გიორგი გვიმრაძე;**

— საქართველოში სტუდენტები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველამ კარგად იცის, რომ თანხის გადაუხდელობის გამო 10 ათას ახალგაზრდას სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა. მათი პრობლემის გადაჭრის მოთხოვნით სხვადასხვა პარტიები გამოვიდნენ. განცხადება გავაკეთეთ ჩვენც. საქმეში სტუდენტური ორგანიზაციებიც ჩავერთეთ. ცოტა ხნის წინ გეპეის ადმინისტრაციულ კორპუსთან სტუდენტებმა შიმშილობის აქციაც დაიწყეს. სამართალდამცავებმა ამ აქციის მონაწილეებს სიტყვიერი შერაცხყოფა მიაყენეს. მათ აქციის დაშლა მოგვთხოვეს, იმ მიზეზით, რომ თითქოს ეს აქცია ლექციების ჩატარებას უშლიდა ხელს. არადა, ეს არ იყო მართალი.

***— რატომ არ იყო მართალი? ნებისმიერი აქცია უშლის ხელს სასწავლო პროცესს?***

— ეს აქცია ტარდებოდა ადმინისტრაციულ კორპუსში. ამ შენობაში კი, როგორც წესი, ლექციები არ ტარდება. ეს თითიდან გამოწოვილი მიზეზი იყო. ამ ქმედებას სტუდენტების მხრიდან საკმაოდ მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. ეს ამბავი დიმიტრი შაშკინამდეც მივიდა. ჩვენ განათლების სამინისტროდან დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ მინისტრს ჩვენთან შეხვედრა სურდა. ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, დავთანხმდით. გვინდოდა, რომ ამ შეხვედრას ჟურნალისტებიც დასწრებოდნენ. ეს თემა საზოგადოებას ხომ ძალიან აინტერესებს. სამინისტროში ამის უფლება არ მოგვცეს და არც კამერა შეგვატანინეს, შეხვედრა რომ გადაგვეღო.

***— რა მიზეზით გითხრეს უარი?***

— თქვეს, რომ ეს მუშა შეხვედრა იყო. შაშკინამდე ჩვენ განათლების მინისტრის მოადგილე გვესაუბრა. ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. შემდეგ დიმიტრი შაშკინიც მოვიდა. მას კამერიანი ადამიანი შემოჰყვა.

***— ვინ იყო ეს კამერიანი?***

— სამინისტროს თანამშრომელი. ეტყობა, ის მინისტრი შეხვედრებს აფიქსირებს ხოლმე. შეხვედრაზე ეს ადამიანი ბოლომდე არ დარჩენილა. მხოლოდ შაშკინის განცხადება დააფიქსირა და გავიდა.

***— რა გითხრათ განათლების მინისტრმა?***

— მან ისაუბრა საქართველოს მიღწევებზე. შედარებები მოჰყავდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან. როცა ვუთხარით, რომ იქ სწავლა უფასო იყო. გვიპასუხა: ჩვენც რომ ასე მოვიქცეთ, უკან დავბრუნდებით საბჭოთა კავშირშიო. ჩვენ დავინტერესდით, როგორ აპირებს განათლების სამინისტრო ამ პრობლემის მოგვარებას. ყველამ ვიცით, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი სწავლის საფასურს ვერ იხდის. გადასახადი კი იზრდება და იზრდება. მე ხელთ მქონდა გეპეის სტუდენტების სია. საუბარია მათზე, ვისაც თანხის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა. მინდოდა მინისტრისთვის გადამეცა ეს სია. მან მითხრა, რომ არ აინტერესებს და არც სია არ გამომართვა. მერე განმარტა, რომ მას უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვს და მას ამას კანონი უკრძალავს. თურმე მის მოვალეობაში არც სტუდენტების უფლებების დაცვა შედის.

***— აბა, რისი უფლება აქვს განათლების მინისტრს?***

— როგორც თავად თქვა, ის ჩაერევა, თუ მოხდება იმ შენობის გასხვისება, რომელიც სასწავლებელს ეკუთვნის. ასევე მას ეხება ერთიანი ეროვნული გამოცდები. სხვა უფლებები კი თურმე არა აქვს. იმ შეხვედრაზე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პურის ქარხნის დირექტორს ვხვდებოდი.

***— რატომ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება?***

— დაახლოებით ერთი თვის წინ მან პრესკონფერენცია ჩაატარა. სადაც პურის მაღაზიები და უმაღლესი სასწავლებლები ერთმანეთს შეადარა. იგივე გაიმეორა ამ შეხვედრაზეც. ამიტომაც ვთქვით, რომ ჩვენ შევხვდით პურის ქარხნის დირექტორს და არა განათლების მინისტრს.

***— ეს პირში უთხარით?***

— ვუთხარით.

***— რეაქცია როგორი იყო?***

— არც მას და არც მის მოადგილეს ეს შეფასება არ მოეწონათ. სახეზე გაწითლდნენ. მინისტრი შეხვედრაზე საკმაოდ ცუდად იქცეოდა.

***— რაში გამოიხატებოდა ეს?***

— ის გვესაუბრებოდა ბარბარიზმებით. მგონი, ცოტა უხერხულია, როცა განათლების მინისტრი ასე იქცევა. ჩვენ რა მაგალითი უნდა ავიღოთ მისგან? ეს ძალიან ცუდი ფაქტია.

***— ინგლისურ ენაზე თუ გესაუბრათ, რა უჭირს.***

— ჯერ ერთი, რატომ უნდა ელაპარაკა ინგლისურად ჩვენთან შეხვედრაზე? მთელი უბედურება ისაა, რომ ინგლისურისა და ქართულის ნარევით გვესაუბრებოდა.

***— რას ამბობდა? შეგიძლიათ ეს ფრაზები გაიხსენოთ?***

— სულ იძახოდა, კეი ბაი კეის. ჩვენ ვეუბნებოდით, გვითხარით როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას. ის მაქსიმალურად არიდებდა თავს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. მხოლოდ გვითხრა, რომ სტატუს შეჩერებულ ახალგაზრდას შეუძლია ხელახლა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ახალგაზრდა წლებს კარგავს. დავუშვათ, ჩააბარა იმ ახალგაზრდამ გამოცდები, მოხვდა უნივერსიტეტში, ის ხომ იგივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება? გადასახადის პრობლემა მოგვარებული, სამწუხაროდ, არ არის. მან ჩვენ კითხვებს არ უპასუხა და ფაქტიურად გაგვექცა.

***— რას ნიშნავს, გაგვექცათ?***

— საუბრის დროს წამოხტა, თქვა, მეჩქარებაო და გაიქცა. ისე წავიდა, არც კი დაგვემშვიდობა.

# დავით ბერძენიშვილი ოზურგეთში ამომრჩევლებს შეხვდა

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრი, გურიის რეგიონის პოლიტიკური კოორდინატორი დავით ბერძენიშვილი ოზურგეთში მეგობრობის ქუჩაზე მდებარე კორპუსის მცხოვრებლებს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი კოალიცია „ქართული ოცნების“ სამომავლო გეგმებს, პროგრამულ პრიორიტეტებსა და ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარების გზებს შეეხო.

დავით ბერძენიშვილმა შეხვედრები გურიის რეგიონში რამდენიმე დღის წინ დაიწყო. მან პირველი შეხვედრა დაბა ანასეულის მოსახლეობასთან გამართა.

**ნიუსპრესი**

# ირინე ქურდაძემ ჩაღლარის“ ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო სასწავლებლების ნორჩ მეცნიერთა და შემოქმედთა ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

გამარჯვებულებს ქურდაძემ პერსონალური კომპიუტერები გადასცა. „ჩაღლარის“ VI საერთაშორისო ოლიმპიადაში 31 ქვეყნის წამომადგენელი მონაწილეობდა. ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადა საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. მასში გამომგონებლური და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული VII-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ.

ოლიმპიადა „ჩაღლარი“ ყოველწლიურად იმართება.

**ნიუსპრესი**

# ქუთაისში ქრისტიან-დემოკრატების ოფისი გაიხსნა

ქუთაისში, წერეთლის №18-ში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა.

ოფისი იმ ისტორიულ სახლში განთავსდა, სადაც მიტროფანე ლაღიძე ცხოვრობდა.

ოფისის გახსნას მოძრაობის ლიდერები გიორგი თარგამაძე, გიორგი ახვლედიანი და ლევან ვეფხვაძე ესწრებოდნენ.

ახლადგახსნილი ოფისი მღვდელმონაზონმა, მამა იონამ აკურთხა.

„ქრისტიან-დემოკრატების“ თქმით, ქუთაისი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას იძენს და სწორედ ამიტომაა მათთვის მნიშვნელოვანი ქალაქში პარტიას ოფისი ჰქონდეს.

გიორგი ახვლედიანის განცხადებით, პარტია ყოველთვის დიდ სიყვარულსა და მხარდაჭერას გრძნობს ქუთაისელების მხრიდან.

„ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ქუთაისში გვყავდეს ღირსეული და ძლიერი წარმომადგენლობა, სადაც ყველა მსურველსა და დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება მიმართოს პარტიას და მოგვაწვდინოს ხმა ნებისმიერ პრობლემაზე“, — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

**მედიანიუსი**

# ნებაყოფლობით რეზერვში ძალით წაგიყვანენ!

## რა წერია კონცეფციაში, რომელიც სააკაშვილმა უნდა დაამტკიცოს

შალვა ჯოხაძე

**პარლამენტში თავდაცვის რეზერვის სისტემის კონცეფციის პროექტზე მუშაობენ. მთავრობის მიერ შედგენილ ამ პროექტში ბოლო დროს ყბად აღებული ნებაყოფლობითი რეზერვის შესახებაცაა საუბარი. სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ზაფხულისთვის 70 ათასი ნებაყოფლობითი რეზერვისტი იქნება გადამზადებული, ხოლო მომავალ წელს მათი რიცხვი 150 ათასს მიაღწევს. უცნაურია, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკვე იცის, რამდენი ადამიანი გამოთქვამს რეზერვში ნებაყოფლობით წასვლის სურვილს! მოკლედ, გეგმა გეგმაა, სააკაშვილისაგან დავალება მიღებულია და ცხადია, შესაბამისი უწყებები ნებაყოფლობით რეზერვში ადამიანების ძალით წაყვანაზეც არ დაიხევენ უკან.**

კონცეფციის მიხედვით, რეზერვი პირობითად ორ ნაწილად იყოფა: სახმელეთო ჯარების რეზერვად, რომლის მართვის სისტემაც პირდაპირ მიბმულია სახმელეთო ჯარებზე და ტერიტორიული თავდაცვის რეზერვად, რომლის საბრძოლო მომზადებას და მართვას ახორციელებს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი. სახმელეთო ჯარების რეზერვი არის როგორც სავალდებულო, ასევე – ნებაყოფლობითი, ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი კი აბსოლუტურად ნებაყოფლობითია.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ტერიტორიული რეზერვის პილოტური პროექტი უკვე მიმდინარეობს. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბათუ ქუთელიას ინფორმაციით, პილოტურ პროექტზე თავდაცვის წლევანდელი ბიუჯეტის 0.9%, 6 მლნ ლარამდეა უკვე დახარჯული და მის ფარგლებში 13 ათასზე მეტი ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვისტია გაწვრთნილი.

– კონცეფციის შემუშავება განპირობებულია იმ ახალი რეალობებით ქვეყნის უსაფრთხოების გარემოში, რაც 2008 წლის შემდეგ შეიქმნა. უნდა აღვნიშნოთ, რომ რეზერვის კონცეფციას ასევე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. გარდა უშუალო პრაქტიკული მნიშვნლობისა, რეზერვის სისტემა ეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას და შეიარაღებულ ძალებს, რომ იყვნენ დაახლოებული და ასევე ეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას, ზუსტად ჰქონდეს გაგებული ის ამოცანები და საფრთხეები, რაც ქვეყნის წინაშეა, – აცხადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე კი აღნიშნავს, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ, ხელისუფლებამ გარკვეული დასკვნები გამოიტანა.

– სარეზერვო სამსახურის მაშინდელი სისტემა მნიშვნელოვანწილად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. დაშვებული იყო შეცდომები, რომელიც გავაანალიზეთ და მათი გათვალისწინებით გაგრძელდა რეზერვის შექმნა. ეს პროცესი არ შეჩერებულა და ბევრმა ადამიანმა სარეზერვო სამსახური შეცვლილი პროგრამით გაიარა, – განაცხადა თარგამაძემ.

გივი თარგამაძის თქმით, იდეალური არც ეს სისტემაა და აქედან გამომდინარე დაიწყო მუშაობა ახალი კონცეფციის შემუშავებაზე, რომელსაც კოორდინაციას ეროვნული უშიშროების საბჭო უწევს. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალ კონცეფციაზე მუშაობისას რეზერვის სისტემაში ახალი ელემენტის – ტერიტორიული თავდაცვის რეზერვის დამატების იდეა გაჩნდა.

– ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს იქნებოდა საკმაოდ მისაღები საქართველოსთვის, გამომდინარე იმ ტოტალური თავდაცვის პრინციპიდან, რომელსაც ვახორციელებთ ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

კონცეფციის პროექტი, საქართველოს პარლამენტის მერე, ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის თანამშრომლობის ფარგლებშიც უნდა განიხილონ და საბოლოოდ, მას საქართველოს პრეზიდენტი დაამტკიცებს. რა წერია ამ დოკუმენტში? კონცეფციის ავტორების განცხადებით, დოკუმენტი განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკას თავდაცვის რეზერვის სისტემის ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისთვის. კონცეფცია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა და ეროვნული სამხედრო სტრატეგია) ანალიზს, დასკვნებს და რეკომენდაციებს. დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიღებული გამოცდილების ანალიზი და დასკვნები. ამასთან,



გივი თარგამაძე

თავდაცვის რეზერვის სისტემის კონცეფციის შემუშავებისას ნატოს და სხვა პარტნიორი ქვეყნების გამოცდილება გაითვალისწინეს.

– საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე, დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის რეზერვის მიზანს და მნიშვნელობას, აყალიბებს სახელმწიფოს ხედვას რეზერვის პოლიტიკის შესახებ, აღწერს თავდაცვის რეზერვის სტრუქტურის ჩამოყალიბების, მისი მართვისა და ორგანიზების პრინციპებს. საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარება არ არის ერთჯერადი პროცესი. გაგრძელდება მუშაობა სისტემის სამომავლო დახვეწის მიზნით და საჭიროების მიხედვით მოხდება მისი ადაპტაცია ქვეყანაში და რეგიონში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, – აცხადებენ კონცეფციის ავტორები.

მთავრობის მოსაზრებით, თავდაცვის რეზერვის სისტემის განვითარების მიზანია ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება. საქართველოს უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე და ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის დაგეგმვა ეფუძნება ,,ტოტალური თავდაცვის“ პრინციპს. გარე აგრესიის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიის დასაცავად შეიარაღებული ძალების მზადყოფნის გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავდაცვის რეზერვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას.

– რეზერვის ახალი სისტემა მიმართული იქნება რეზერვისტების მომზადების, მათი მართვისა და კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ტერიტორიული თავდაცვის ზრუნველყოფაში მოსახლეობის ფართო ჩართულობაზე.

ეროვნული თავდაცვის სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების აქტიური კომპონენტის, ასევე მისი სარეზერვო პოტენციალის, რესურსის რაციონალური გამოყენება თავდაცვის დაგეგმვისას. საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს რეზერვის ისეთი სისტემის განვითარება, რომელიც ომის შემთხვევაში შესძლებს შეასრულოს ქვეყნის ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვისათვის საჭირო ამოცანები, ხოლო ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს დახმარება აღმოუჩინოს სამოქალაქო ხელისუფლებას, – საუბარია კონცეფციაში.

თავდაცვის რეზერვის სისტემის განვითარება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სიმარტივე და მოქნილობა – რეზერვის მარტივი და ეფექტური სტრუქტურის და მოქნილი მართვის და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება; ხარისხი – რეზერვისტების სათანადო აღჭურვა და მაღალ დონეზე გაწვრთნა; ეკონომიურობა – შეზღუდული რესურსების პირობებში მინიმალური ფინანსური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევა; დეცენტრალიზებული მართვა – დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობების განვითარება; რეზერვისტის მორალის ამაღლება და საბრძოლო, პროფესიული და ტექნიკური უნარ-ჩვევების დაბალანსებული განვითარება; მეტი თავსებადობა შეიარაღებული ძალების ან/და სხვა უწყებების ოპერაციებთან; ეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რეზერვისა და სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობის შესახებ; მიღებული გამოცდილების პერმანენტული და დროული ასახვა რეზერვის სისტემის შემდგომი სრულყოფისთვის.

მნიშვნელოვანია მუდმივად ხორციელდებოდეს რეზერვის სისტემის შეფასება და სრულყოფის გეგმების გადახედვა-შემუშავება.

თავდაცვის რეზერვი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად დაიყოფა შემდეგ ორ კატეგორიად: სახმელეთო ჯარების რეზერვი – მისი ძირითადი ამოცანა საომარი მოქმედებების დროს შეიარაღებული ძალების მოქმედი ქვედანაყოფების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მათი სრულფასოვანი ჩანაცვლება იქნება; სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა, რაც განხორციელდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის გეგმებისა და მითითებების მიხედვით; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს. სახმელეთო ჯარების რეზერვი დაკომპლექტდება სავალდებულო ან ნებაყოფლობით გაწვევის პრინციპით;

ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი – საომარი მოქმედებების დროს ძირითადად პასუხისმგებელი იქნება სამოქალაქო თავდაცვისა და ზურგის ოპერაციებზე. საჭიროების შემთხვევაში კი დაეხმარება სახმელეთო ჯარების რეზერვს. თავდაცვის ძალების გეგმებისა და მითითებების მიხედვით განსაზღვრული პასუხისმგებლობის რაიონის ავტონომიურად დაცვა, რომელიც დგინდება მათი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი დახმარებას გაუწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი დაკომპლექტდება ნებაყოფლობითობის საფუძველზე.

პროექტის თანახმად, თავდაცვის რეზერვის სისტემის მართვასა და კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი (2013 წლიდან გენერალური შტაბი) და დაქვემდებარებული სტრუქტურები.

– შეკრებების პერიოდში: სახმელეთო ჯარების სარდლობა ახორციელებს სახმელეთო ჯარების რეზერვის საბრძოლო მომზადებას და მართვას; ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი (ტერიტორიული თავდაცვის დეპარტამენტი) ახორციელებს ტერიტორიული თავდაცვის საბრძოლო მომზადებას და მართვას.

რეზერვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება საჭიროებს სწორ მენეჯმენტს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციას და მკაფიოდ განსაზღვრულ სამობილიზაციო სისტემას.

ასევე მნიშვნელოვანია თავდაცვის რეზერვის სისტემის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკური უზრუნველყოფა. რეზერვის ლოგისტიკური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების გრძელვადიან გეგმებში, პროგრამებსა და ბიუჯეტში, – აღნიშნულია პროექტში.

რეზერვის სისტემის განვითარებისას მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კოორდინაცია როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს შორის. რეზერვის სისტემის განვითარებისას მნიშვნელოვანია თვითმმართველობის ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კოორდინაციის ხარისხის გაზრდა, რაც ითვალისწინებს სავარაუდო სცენარებზე დამყარებულ ერთობლივი გეგმების შემუშავებას და შესაბამისი სწავლებების განხორციელებას. ეფექტური რეზერვის სისტემის დანერგვის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა. შესაბამისად, რეზერვის სისტემის განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება მჭიდრო ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოებასთან, მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდისა და რეზერვის სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

პროექტის თანახმად, ეფექტური თავდაცვის რეზერვის სისტემის განვითარება საჭიროებს მთელი რიგი საკითხების ეტაპობრივ დამუშავებას: თავდაცვის რეზერვის სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფა; თავდაცვის რეზერვის სისტემის უზრუნველსაყოფად საჭირო გრძელვადიანი ფინანსური გათვლების გაკეთება; სავალდებულო და პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ რეზერვის კატეგორიებში გადანაწილების სისტემის ჩამოყალიბება; თავდაცვის რეზერვის სისტემის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე სტრატეგიულ და ოპერატიული გეგმებში შესაბამისი ცვლილებების ასახვა; მობილიზაციის სისტემის გადახედვა და მისი ადაპტირება ახალი რეზერვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად; რეზერვის ახალი საწვრთნელი პროგრამების და რეგულარულ შენაერთებთან ერთობლივი წვრთნების გეგმების შემუშავება სავარაუდო კრიზისების სცენარების გათვალისწინებით; ტერიტორიული თავდაცვის მხარდასაჭერად ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი გეგმების შემუშავება (ლოგისტიკა, კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურა); რეზერვისტთა უფლება-მოვალეობების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა და სოციალური დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება.

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით შეიმუშავებს თავდაცვის რეზერვის განვითარების სტრატეგიასა და დოქტრინას.

# მიხეილ სააკაშვილმა რუსთავში განახლებული ავტოდრომი გახსნა

გუშინ რუსთავში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა განახლებული ავტოდრომი, სადაც წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს.

ჩემპიონატს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოჯახთან ერთად დაესწრო.

ოფიციალური ინფორმაციით, ავტოდრომზე მთლიანად შეიცვალა ინფრასტრუქტურაც, აშენდა ახალი შენობები, შეიცვალა ტრიბუნებიც, რომელიც 4 ათას კაცზეა გათვლილი.

მომავალში რუსთავის ავტოდრომის ტერიტორიაზე ახალი სპორტული ობიექტების აშენებაც იგეგმება.

ჩემპიონატი სპორტული ავტომობილების ოთხ კლასში იმართება. დღეს პირველი ეტაპი ჩატარდა.

რუსთავში ჩემპიონატის დაწყებამდე ტრასა მიხეილ სააკაშვილმა მოსინჯა, რის შემდეგაც საკაშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ახალი ავტოდრომის გახსნა რუსთავში ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქალაქის განვითარებისთვის. ,,ძალიან მააგრი ადრენალიანია“-აღნიშნა სააკაშვილმა.



სააკაშვილმა ავტოდრომზე შეკრებილებს ობიექტის განახლება მიულოცა და მადლობა გადაუხადა საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაციის პრეზიდენტ შოთა აფხაზავას, რომელმაც რუსთავის ავტოდრომის რეკონსტრუქცია განახორციელა – 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო.

,,ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რას ნიშნავს ძალიან დიდი ქართული პატრიოტული გრძნობა. შოთას საქართველოს სიყვარული ერთი წამით არ დავიწყებია თავისი არც თუ ისე მოკლე ცხოვრების განმავლობაში. რას ნიშნავს საქართველოს სიყვარული, როცა დაიბადე სხვაგან, გაიზარდე სხვაგან, შენი ფული გააკეთე სხვაგან, მაგრამ ყველაფერი, ბოლო კაპიკი ჩადე იმაში, რომ შენს ქვეყანაში რაღაცა ააშენო, რაღაცა გააუმჯობესო, ადამიანები დაასაქმო, ახალი საშუალებები გახსნა და შექმნა“-აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ეს ავტოდრომი რუსთავისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 10 წლის წინ ეს ქალაქი მომაკვდავი ქალაქი იყო.

,,რუსთავში ჯერ იმის 20 პროცენტიც არ არის გაკეთებული, რაც მსურდა გამეკეთებინა ამ წლებში, მაგრამ თითქმის ყველა გაჩერებული ქარხანა ამუშავდა. გაიხსნა რამდენიმე ახალი ქარხანა. ეს ინფრასტრუქტურა ნულიდან შეიქმნა სამი წლის წინ, ომის შემდეგ,“-აღნიშნა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ეს ავტოდრომი არის რუსთავის აღორძინების ერთ-ერთი პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი.

,,ის 100, 200 თუ 300 ადამიანი, რომელსაც ის უშაულოდ ასაქმებს, არის 100, 200, 300 ოჯახი, რომელსაც აქვს შემოსავალი. ეს არის მეტი საშუალება, ჩვენს შვილებს უკეთესი განათლება და შესაძლებლობები მივცეთ, უკეთესი ჯანდაცვა გვქონდეს, უკეთესი იმედი“-აღნიშნა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის არ არის, რომ იქ მთავრობის წევრები მივიდნენ და გაისეირნონ.

ეს არის თავიდან ბოლომდე კერძო ინვესტიცია, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა მოიტანოს ფული და მეორე მხრივ, ის ოპტიმიზმი და ენერგია, რომელიც საქართველოს ფეხზე დააყენებს.

მიხეილ სააკაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილს და ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძეს, რომლებიც ავტოდრომის გახსნას ესწრებოდნენ, უსურვა, რომ საქართველოში ხვალიდან იყოს ისეთი გზები, რომელიც ავტოდრომზე დაიგო.

პრეზიდენტმა ასევე მიმართა ღონისძიებაზე მყოფ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრ ლადო ვარძელაშვილს, რომ მასზე ბევრად უკეთესი მსრბოლელები მოამზადოს საქართველოში, რომლებიც საერთაშორისო არენებზე გავლენ.

ახალი ავტოდრომი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ტრასის სიგრძე 4 ათას 122 მეტრს შეადგენს და მთლიანად კერძო ინვესტიციით აშენდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში რუსთავის ავტოდრომზე პირველად იმართება.

**მედიანიუსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ახალ ბულვარში გამწვანების აქცია გაიმართა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. მოსამართლეებმა და აპარატის თანამშრომლებმა ბათუმის ახალ ბულვარში 50 ერთეული წიწვოვანი ჯიშის ნერგი დარგეს.

აქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით მოეწყო.

გამწვანების აქცია "მწვანე პროექტის" ფარგლებში გაიმართა და მისი მიზანი გარემოს დაცვის ხელშეწყობა და ჯანმრთელი გარემოს შექმნაა. ასევე მნიშვნელოვანია ქალაქის გამწვანება და ყველა იმ ღონისძიებების მხარდაჭერა და მასში მონაწილეობა, რომელიც ბუნების დაცვას უწყობს ხელს.

ბათუმის საქალაქო სასამართლო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ასეთი სახის აქციებში მონაწილეობის მიღებას.

### ამბროლაურის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები სასამართლოში

ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიღება გაიმართა. მოსწავლეები შეხვდნენ სასამართლოს თავმჯდომარეს და მენეჯერს, რომლებმაც გააცნეს სასამართლო სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, ასევე სასამართლოს ყოველდღიური საქმიანობა და მართსაჯულების განხორციელების წესი. მოსწავლეები დაინტერესდნენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით, ასევე სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

შეხვედრისას მათ მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე. მათ დაათვალიერეს სასამართლოს ადმინისტრაციული შენობა და სხდომათა დარბაზები. ისინი კმაყოფილი დარჩნენ სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობით და აღჭურვილობით, ასევე თანამშრომელთა კეთილგანწყობით და გამოთქვეს მსგავსი შეხვედრების ხშირად გამართვის სურვილი.

### სტუმრად სასამართლოში

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები სტუმრობდნენ. ისინი გაეცვნენ სასამართლოს მუშაობის ერთ კონკრეტულ დღეს. დაათვალიერეს სხდომის დარბაზები, სასამართლოს შენობა, გაეცვნენ სასამართლოს აპარატის მუშაობას, დასვეს მათთვის საინტერესო შეკითხვები და გამოავლინეს განსაკუთრებული ინტერესი საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების მიმართ. მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები "ბავშვი და სამართალი".

მომდევნო დღეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს ქალაქის საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეები ესტუმრნენ. მათთვის გაიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილი საგანმანათლებლო ინტერნეტ თამაშ "სასამართლოს" პრეზენტაცია. გაეცვნენ ვიდეორგოლებს - "სასამართლო გზამკვლევი" და "ვინ არის მოსამართლე".

ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა წიგნები - "ბავშვი და სამართალი"და "სამოქალაქო განათლების ლექსიკონი".

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თანამშრომლები ოზურგეთის წმინდა ბარბარეს სახელობის საოჯახო ტიპის სახლს - "მომავლის სხივს" ესტუმრნენ, სადაც მზრუნველობამოკლებული ბავშვები ცხოვრობენ. მათ ბავშვებს აღდგომის დღესასწაული მიულოცეს, სხვადასხვა სახის პროდუქტები, ტკბილეული და სპორტული ნივთები აჩუქეს. ასეთი ღონისძიება ერთჯერადი არ იქნება და მომავალშიც გაგრძელდება.

## სასამართლო ხელისუფლება შეჯიბრებითობის თემის პოპულარიზაციას იწყებს











უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" მართლმსაჯულების უმთავრესი პრინციპის შეჯიბრებითობის თემის პოპულარიზაციის მიზნით სპორტული აქცია გახსნა.

სპორტული შეჯიბრი საჯარო სკოლებს შორის გაიმართა, ერთმანეთს 51-ე და 155-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები შეეჯიბრნენ. სასამართლო ხელისუფლებამ ამ სპორტული აქციით პროექტ "შეჯიბრებითობა მართლმსაჯულების უმთავრესი პრინციპი" პოპულარიზაცია დაიწყო.

"შეჯიბრებითობის პრინციპი მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპთაგანია. სწორედ ამიტომ ჩვენ გვინდა მოსახლეობის ფართო ფენებისთვისაც ცნობილი გახდეს ამ პრინციპის არსი და მისი მნიშვნელობა.

ჩვენ ვგეგმავთ ფართო საინფორმაციო კამპანიას, რომელიც მოიცავს, როგორც სასამართლოში მოსული ადამიანებისთვის ბროშურების დარიგებას, ასევე მოსახლეობის ფართო ფენებისთვის სოციალური კლიპებით თუ სხვა საინფორმაციო გზებით შეჯიბრებითობის თემის გარშემო ინფორმაციის მიწოდებას," - განაცხადა ღონისძიების გახსნისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა.

## საქართველოს უზენაეს სასამართლოს ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები სტუმრობენ

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ნორვეგიელ კოლეგებს უმასპინძლა. ორდღიანი სამუშაო შეხვედრები ძირითადად ორი ქვეყნის საკასაციო სასამართლოების მუშაობის ძირითად პრინციპებს, აქტუალური საკითხების განხილვასა და მომავალ თანამშრომლობას შეეხებოდა. .

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოსა და ნორვეგიის სასამართლოების, ასევე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია თემაზე: "უზენაესი სასამართლოების მიერ საკუთარი გადაწყვეტილების გამოყენება და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოსა და ნორვეგიაში".

მომხსენებლებმა ისაუბრეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა როლზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში, ასევე, როგორ ითვალისწინებს საქართველოს და ნორვეგიის უზენაესი სასამართლოები ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელთა დელეგაცია, ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ტურე შაის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა საქართველოში.

# ხათუნა კალმახელიძე იტყუება

პარლამენტში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოსმენამ გაგვაოცა. თურმე რა კარგად ყოფილა მოწყობილი ჩვენი სასჯელაღსრულების დაწესებულებები.. ადრე ყველაფერი იყო ცუდად, ახლა კი – იდეალურადაა. ამ იდეალურობას უფრო მეტ შინაარსს სძენდა დეპუტატებისა და მინისტრის ერთ ხმაში თავის ქება.

არადა, რა საცოდაობები ტრიალებს თავისუფლებააღკვეთილთა თავზე, მთელმა საზოგადოებამ შესანიშნავად იცის. ამაზე გამუდმებით საუბრობენ ადამიანის უფლებათა დამცველლები, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები და ქართველი ადვოკატები, რომლებსაც ხშირად პრობლემები ექმნებათ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პატიმართან ურთიერთობაში, ხელი ეშლებათ კანონით განსაზღვრული მოვალეობის შესრულებაში.

ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც ხშირად უქმნიან დაბრკოლებებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მონახულების პროცესში.

ვლადიმერ ტაბაღუა ადრე ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორი გახლდათ და იცის, რა იყო უწინ და რა იყო ადრე.


ხათუნა კალმახელიძე

გულიკო ბალაძე

*— ბატონო ვლადიმერ, ალბათ, მოუსმინეთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა ვითარება ისე დახატა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღმატებული სიტუაციაა. თქვენ კარგად იცნობთ ციხეებში არსებულ სიტუაციას, თანაც, როგორც ვიცი, ხშირად გექმნებათ პრობლემები ციხეებში თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მონახულების პროცესში. რა შეგიძლიათ თქვათ მინისტრის განცხადებებზე?*

— საპარლამენტო მოსმენისთვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს გაეგზავნა ერთადერთი კითხვა, როგორ არის უზრუნველყოფილი სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მომსახურება. ამ კითხვებზე მინისტრმა პასუხის გაცემა დაიწყო იმის მოშველიებით, რა იყო უწინ და რა არის დღეს. მან ვრცლად ილაპარაკა რაღაც წამატებულ რეფორმებზე, რომ სასჯელაღსრულების სისტემა განახლდა, ახალი შენობები აშენდა. მინისტრის თქმით, საცხოვრებელი ფართის მიხედვით, პატიმრებს ცხოვრების კარგი პირობები შექმნეს, გაუმჯობესდა მათი, როგორც კვების. ასევე მომსახურებისა და სწავლის. მდგომარეობა. მინისტრმა თქვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სწავლა-განათლების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ხდება პატიმრების შრომითი დასაქმება და სამედიცინო მომსახურება, მაგრამ ზოგიერთები თურმე ამას ბოროტად იყენებენ. რადგან სისტემა არის დახურული, ზოგიერთები ცრუ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას. თურმე ციხეებში ძალიან კარგი ცხოვრებაა.

*— ადრე თქვენ მუშაობდით ამ სისტემაში და იცით, რა იყო უწინ და რა არის ახლა. რეალურად რა მდგომარეობაა დღეს სასჯელაღსრულების სისტემაში?*

— მინისტრმა ისეთი საკითხები ჩამოთვალა, როგორიც არის შრომითი დასაქმება, პროფტექსასწავლებლის შექმნა, სამედიცინო მომსახურება, ახალი ციხეების აშენება და კეთილმოწყობილი შენობების გაკეთება. ამას ადარებდა წინა წლებში არსებულ მდგომარეობას. სხვა საკითხია, შენობები და ფასადები როგორ არის შეღებილი, მაგრამ შიგნით ვითარება აბსოლუტურად რომ არ არის შეცვლილი პატიმრების სასარგებლოდ, ამას მათი ყოველდღიური ცხოვრება ცხადყოფს.

*— თქვენ რას გამოყოფდით?*

— თავიდანვე გამოვყოფ მის იმ გაცხადებას, რაც პატიმრების დასაქმებას შეეხება. მინისტრმა თქვა, პატიმრებს ვასაქმებთ, სწავლა-განათლებას ვაძლევთ, შემოვიღეთ გრძელვადიანი პაემნები, შვებულებაში გაშვება, ახლა ალტერნატიული სასჯელები შემოგვაქვსო. უნდა გითხრათ, რომ თვითონ ისინი ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას. ის საკითხები, რაც მინისტრმა კალმახელიძემ ჩამოთვალა, საბჭოთა კავშირის პერიოდში, სანამ დაინგრეოდა, უფრო უკეთესად იყო გადაწყვეტილი. გარდა შენობებისა (შენობები 50 წლის წინ იყო აშენებული), კომუნალური პირობები უფრო უკეთესად გახლდათ უზრუნველყოფილი. საკავშირო მასშტაბით ერთიანი მომარაგება იყო და პატიმრებს უკეთესი კვება ჰქონდათ. ყოველწლიურად საქართველოში ეს სისტემა 80 მილიონის პროდუქციას უშვებდა და აგზავნიდა სხვადასხვა მიმართულებით. პატიმართა 80% დასაქმებული გახლდათ და ღებულობდა ხელფასს, რითაც არამცთუ თავის თავს ირჩენდა, არამედ ოჯახსაც ეხმარებოდა თვეში 100-150 ლარით. მინისტრი რომ აცხადებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ლიცენზირებული აფთიაქები გვაქვსო ლიცენზიას რა მნიშვნელობა აქვს.

*— სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მომსახურება დღეს უკეთესი არ არის?*

— არა. რა მნიშვნელობა აქვს ლიცენზირებულ აფთიაქს, თუ პატიმრისთვის ხელმისაწვდომი არ არის? თუ მათ აქვთ წამალი, მაშინ რატომ არ მკურნალობენ? საბჭოთა კავშირის პერიოდში, აფთიაქიც არსებობდა (მაშინ არ იყო ლიცენზირება) და სპეციალისტებიც. როგორც კი პატიმარი შემოვიდოდა, სამი დღის განმავლობაში ყოველგვარი გამოკვლევა უტარდებოდა ამბულატორიულად, რამე დაავადება ხომ არ ჰქონდა. ამბულატორული მკურნალობა ენიშნებოდა. ყოველ დილა-საღამოს ექთანი შემოვლას ატარებდა და მედიკამენტებს აძლევდა. დღეს ასეთი რამ არ არსებობს. კარგად უზრუნველყოფას რომ თავი დავანებოთ, როცა დაავადება ვლინდება, მაშინ არ აქცევენ ყურადღებას. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არიან პატიმრები ძალიან მძიმე დაავადებით. დაავადებულ პატიმრებს გვიან ავლენენ. თავიდან ყურადღებას არ აქცევენ. ამიტომაა, რომ ძირითადად ტუბერკულიოზით დაავადებული პატიმრები ხშირად იღუპებიან..

*— მინისტრმა თქვა, ციხეებში ტუბერკულოზი მოვსპეთ, გარეთ უფრო არის პრობლემები ტუბერკულოზთან დაკავშირებით, ვიდრე ციხეებშიო.*

— ცხადია, ციხეებში უფრო ცუდი მდგომარეობაა, რადგან ციხე არის დახურული სივრცე, პატიმარი ოთხ კედელშია მოთავსებული, 8-10 კვმ-ში, სადაც ჟანგბადიც არ არის საკმარისი. ასევე ფსიქოლოგიურ ტრამვას ღებულობს პატიმრობის გამო. ასეთ პირობებში ტუბერკულოზით დაავადება უფრო იჩენს თავს. როცა ერთი დაავადებული შევა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მისი მდგომარეობის შესწავლა დროულად არ ხდება, დროზე არ გამოავლენენ, მისგან დაავადება მრავალ პატიმარს გადაედება. ერთი პატიმრიდან შეიძლება 10 კაცი დაავადდეს. დღეს ამის პრევენცია არ ხდება. პრევენცია მხოლოდ ქაღალდზე ხდება. მინისტრი ამბობს, პრევენციას ვახდენთო. სინამდვილეში ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებენ. პრევენცია მხოლოდ ქაღალდზეა. როდესაც ადვოკატები ვაყენებთ საკითხს, რომ კონკრეტული პატიმარი დაავადებულია და საჭიროა მისი საავადმყოფოში გადაყვანა, პასუხს სჭირდება 3-4 თვე, რა დროშიც პატიმარი ან მომაკვდავი ხდება, ან – ინვალიდი. სანამ პატიმარი მომაკვდავი ან ინვალიდი არ გახდება, მანამ საავადმყოფოში არ გადაჰყავთ. ცრუ ინფორმაციას გვაწვდიან. გვწერენ: თქვენ მიერ შემოტანილ განცხადებაზე გპასუხოთ, რომ პირი კონსულტირებული იქნა სპეციალისტების მიერ და დაენიშნა მკურნალობა, რაც ტყუილია, მათ არაფერი ენიშნებათ. ასე ჩვენს განცხადებაზე გვწერენ, მაგრამ 6 თვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ თურმე ეს კაცი დაავადებულია ფილტვების დაავადებით, ტუბერკულოზი აქვს, ფილტვები არის რღვევის ფაზაში, ან აწუხებს ფსიქოლოგიური აშლილობა. ასეთი შემთხვევა მე მქონდა. პატიმრის ციხიდან გადაყვანას დასჭირდა 7 თვე. მპასუხობდნენ სტანდარტულად ერთსა და იმავეს, ხოლო პატიმარი ციხეში კვდებოდა. 7 თვის შემდეგ ძლივს მივაღწიეთ პატიმრის გადაყვანას სახალხო დამცველისა და რადიო „ობიექტივში" გამოსვლით, რომ პატიმარი მოკვდებოდა თუ იქიდან სამედიცინო დაწესებულებაში არ გადაიყვანდნენ. ეს იქნებოდა მათი ბრალი. ჩვენი მინისტრი ამას უწოდებს პატიმრების სამედიცინო მომსახურებას, მინისტრი ლაპარაკობს შრომით მოწყობაზე და თავს იქებს თავიანთი მოწყობილი პურის საცხობებით, რომლითაც ვიღაცა კომერციულ საქმიანობას ეწევა, მოგებას ღებულობს. ამ საცხობებში დასაქმებული ჰყავს 35 კაცი. დღეს 23 500– 23 600 კაცია პატიმარი. თუ აქედან დასაქმებულია 35 კაცი, ეს რა სატრაბახოა? როდესაც საბჭოთა კავშირში 23 ათასიდან 80% იყო დასაქმებული.

*— პარლამენტის სხდომაზე ასევე თავს იქებდნენ, 27 ათასი პატიმარი იყო და 23 ათასამდე შემცირდაო. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, 23 ათასი ცოტაა?*

— პატიმართა რაოდენობა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ოთხჯერ გაიზარდა. ისინი აცხადებენ, პატიმართა რაოდენობა იმიტომ გაიზარდა, თითქოსდა ისინი დანაშაულს არ მალავენ. იმდენი დამნაშავეა დასაჭერი, 50 ციხე არ ეყოფათ, მაგრამ დამნაშავეების თა დაჭერა შერჩევით ხდება. იჭერენ იმის მიხედვით, ვინ ვისი წარმომადგენელია. დასაჭერი რომ დაიჭირონ, ხუთჯერ მეტი პატიმარი გვეყოლება. სასამართლოდან პირობითი მსჯავრით გაშვებული იქნება 10%.

*— ბატონო ვლადიმერ, როგორ ფიქრობთ, რატომ არ დაისვა კითხვები წამებებთან დაკავშირებით? ცნობილია, რომ ჩვენს ციხეებში პატიმრებს აწამებენ.*

— სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პარლამენტში მიწვევა ერთი ფრაქციის მოთხოვნა იყო. კითხვაც ერთი ფრაქციის მიერ დაისვა. ვრცელი კითხვარი რომ შეედგინათ, მისი განხილვისას, მაინც ისე იტრაბახებდნენ, ჩვენს ციხეებში ასე და ისე არისო.

*— სატრაბახო რამე აქვთ?*

— სატრაბახო არაფერი აქვთ. საქართველოს ციხეებში პატიმრებს ყოველდღე აწამებენ. არაადამიანურ მოპყრობას ადგილი აქვს ყოველდღე. უამრავი პატიმარია დაზიანებული და დასახიჩრებული წამების შედეგად. წამების ფაქტებზე თვითონ სახალხო დამცველის მოხსენებაშიცაა საუბარი, მაგრამ რეაგირება არ ხდება. რეაგირება არაფერზე ხდება, ვითომდა ყველაფერში წარმატებები აქვთ. მინისტრი არ ამბობს, რომ მის სისტემაში ნამდვილადაა დარღვევები. რომ ეთქვა, კი ბატონო, თქვენ მართალი ხართ, ამ და ამ დროს, ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი და დავსაჯეთ, პასუხისგებაში მივეცით, ჩვენ თვითონ გავათავისუფლებთ სამსახურიდანო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ამის თქმა და აღიარება არ უნდათ. ფაქტებს მალავენ და ლაპარაკობენ მხოლოდ ზოგადი ფრაზებით, რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სისტემაში. კეთილი ინებოს მინისტრმა და ხალხს სიმართლე უთხრას. შექმნას კომისია და მე, როგორც ვლადიმერ ტაბაღუა, ყოფილი სასჯელაღსრულებების დაწესებულების დირექტორი, მის მიერ შექმნილ კომისიაში ჩამსვას, ერთად შემოვიაროთ ციხეები, ვნახოთ და დავდგინოთ სიმართლე, რეალურად, რა მდგომარეობაა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. მიუხედავად იმისა, აშინებენ, პატიმრები მაინც ღიად აცხადებენ, რომ მათ საშინლად აწამებენ, სცემენ. ვლადიმერ ლეჟავა 2005 თუ 2006 წელს სასტიკად სცემეს და აწამეს ქუთაისის ციხეში. დღეს ის ადამიანი ოთხ კაცს ხელით დაჰყავს. ამ დროს მე მეუბნებიან, მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებაო. პატიმარს ყურთასმენა და მხედველობა დაკარგული აქვს, ფეხზე დგომა აღარ შეუძლია. როგორც იტყვიან, ნახევრად მკვდარი ადამიანია. ამ დროს ზუსტ დიაგნოზსაც არ ეუბნებიან. ზუსტი დიაგნოზია საჭირო. მე დავუსვი კითხვა, რის შედეგად მიიღო ამ ადამიანმა დაზიანებები და რის გამო ჩავარდა ასეთ მდგომარეობაში? ამაზე პასუხს არ იძლევიან. მეუბნებიან, რაღაც ტრავმა აქვს გადატანილიო და მორჩა. სინამდვილეში ამ ადამიანს 3 დღის განმავლობაში აწამებდნენ.

*— ბატონო ვლადიმერ, თქვენ ციხის ავანჩავანი კარგად იცით. რა ფსიქიკის ხალხი მუშაობს ციხეებში?*

— მინისტრი და სხვები თავს იწონებენ, კადრებს ვამზადებთ და კვალიფიციური კადრები გვყავსო. უბედურება ისაა, მათ პენიტენციალური სისტემის არაფერი გაეგებათ. პენიტენციალური სისტემა არ არის ფარეხში შეყრილი ცხვრის ფარა, ადამიანთა ჯგუფია. პენიტენციალურ სისტემაში სხვადასხვა ფსიქოლოგის, დაავადების, აზროვნების უამრავი ადამიანია. საჭიროა მათთან მუშაობა, მათი მეთვალყურეობა და არა ცემა. დღევანდელი მდგომარეობით, ციხის პერსონალი, რომელიც მათ მეთვალყურეობას უნდა უწევდეს, ხელს უწყობდეს, რომ უზრუნველყოფილი იყვნენ, როგორც საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით, კვებით, სამედიცინო მომსახურებით, ერთადერთი ფუნქცია აქვთ შეთვისებული, თუ ვინმემ ხმა ამოიღო, ცემონ და შეურაცხყოფა მიაყენონ. ეს არის საშინელება.

*— რატომ სიამოვნებთ პატიმრების ცემა-წამება?*

— არ ვიცი. ალბათ, ზემოდან მოდის ასეთი ნება. პენიტენციალურ სისტემაში დღეს შიდა კონტროლი მოშლილია. დღეს ციხის უფროსმა ან მისმა ხელქვეითმა კაცი რომ მოკლას და ამაზე მთელი საქართველო ფეხზე დადგეს, იტყვიან, თქვენი ნათქვამი ტყუილიაო. უბედურება ესაა. პროკურატურა, სასჯელაღსრულების სამინისტრო და დეპარტამენტი ამ ჯალათებსა და დამნაშავეებს ხელს აფარებს, ვინც პატიმარს აწამებს. ამაზე პარლამენტმა იმსჯელა, სადაც სახალხო დამცველმა და ზოგიერთმა დეპუტატმა მათი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენეს, მათ შორის მინისტრის, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს. ე.ი. ეს ასე უნდა იყოს.

*— ხელმძღვანელობამ რომ განაცხადოს წამებების აკრძალის შესახებ, ეს გარკვეულ პრევენციულ როლს არ შეასრულებს? ანუ ხელისუფლების ნება რომ იყოს, ციხეებში პატიმრების წამება არ შეწყდება?*

— 1958 წელს საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიღებული იქნა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები. 1960 წელს ახალი სისხლის სამართლის ახალი კოდექსი. 1963 წელს შს სამინისტრომ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმად, სადაც პატიმრების ცემა-წამება იქნებოდა გამოვლენილი, სასტიკად დაისჯებოდნენ თანამშრომლები. ამ ბრძანების წაკითხვა ყველასთვის შიშის მომგვრელი იყო. ვინ გაბედავდა. წამების ცალკეული მომენტები იყო იყო, მაგრამ 1960 წლამდე. მას შემდეგაც იყო, თუმცა, იშვიათად, ისიც განსაკუთრებული პატიმრის მიმართ, რომელიც მართლა უზრდელი და აღვირახსნილი გახლდათ. ასეთ ფაქტზეც პროკურატურაში რომ დაგეწერათ, პროკურატურიდან ერთი კი არა, 5 კაცი ჩამოვიდოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და დამნაშავეს თუ პასუხისგებაში არ მისცემდნენ, სამსახურიდან მაინც გააგდებდნენ. თუ გახმაურდებოდა წამების ფაქტი, რეაგირება ხდებოდა. ახლა გახმაურებულიც არის ფაქტი და დადასტურებულიც, როგორც პატიმრების განცხადებით, ასევე ექსპერტების მიერ და მოწმეთა ჩვენებებით, მაგრამ ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ღებულობს. ეს არის ცინიზმი. მინისტრმა თქვა, უფრო მსუბუქი სასჯელის ფორმას ვიყენებთო. მე რამდენჯერაც დავაყენე საკითხი, იმდენი უარი მომივიდა. ვინც მძიმე დანაშაულზე ზის და მოიხადა ორი მესამედი, შეიძლება მისთვის სასჯელის ფორმის შეცვლა. კანონში წერია, რომ მაგალითად, ნახევრად მძიმე დანაშაულზე, შეიძლება სასამართლომ ის პატიმრობიდან გაათავისუფლოს და უფრო მსუბუქი სასჯელით, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეუცვალოს, მაგრამ ყველა განცხადებაზე უარს ვღებულობთ.

## პატრიარქმა ცოლებს ქმრების მორჩილებისკენ მოუწოდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II ცოლებს ქმრების მორჩილებისკენ მოუწოდებს. ცოლის მოვალეობასა და როლზე უწმინდესმა გუშინდელი საკვირაო ქადაგებისას ისაუბრა.

„ახლა მიღებულია ასეთი ტერმინი, რომ ცოლი და ქმარი თანასწორუფლებიანია. საღმრთო წერილი ამბობს, რომ ოჯახში მთავარი არის ქმარი. ოჯახი ესაა ერთი სხეული და არ შეიძლება ერთ სხეულზე იყოს ორი თავი. ეს შეუძლებელია. ბედნიერია ის ოჯახი, სადაც დედა და ცოლი სწირავს თავს ოჯახს, ზრდის შვილებს, ზრდის სარწმუნოებრივად", — აღნიშნა უწმინდესმა.

ილია II მრევლ ქალებს მოუწოდა, „დაფიქრდნენ თავიანთ მოვალეობაზე".

„ადამიანის ბედნიერება უპირველესად ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემაა. მაგალითად, როცა ქმარი მოდის სამსახურიდან, შენ უნდა შესთავაზო დასვენება, უნდა შესთავაზო ფეხების დაბანა, შესთავაზო საჭმელი, სითბო უნდა აჩვენო შენს ქმარს. მინდა კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ თქვენს მოვალეობაზე. დაფიქრდით თქვენს მოვალეობაზე", — განაცხადა პატრიარქმა.



ინტერპრესნიუსი

# მამუკა გიორგაძე: რუსეთი სააკაშვილს ეხმარება“

შორენა კოწოწაშვილი

**რუსეთ–საქართველოს პირველ პირებს შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში გადადის. ჩრდილოელი მეზობლის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება ცარიელი ადგილია და რომ მის შემცვლელთან რუსეთი თანამშრომლობას შეძლებს.**

– მიხეილ სააკაშვილი ცარიელი ადგილია, ნულია, რომელიც ადრე თუ გვიან პოლიტიკური ცხოვრებიდან წავა და საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ლიდერი მოვა, რომელთანაც რუსეთი თანამშრომლობას შეძლებს, – დიმიტრი მედვედევის ეს სიტყვები ორ ქვეყნას შორის დაძაბულობის ახალი კერის საფრთხედ ენიშნა, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გააღრმავა საქართველოს პრეზიდენტის პასუხმა რუსეთის ლიდერისადმი, რომელიც რუსთავში ახალი ავტოდრომის დათვალიერებისას გააკეთა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ის, რომ რუსეთის ხელისუფლებას ქართველი ხალხი უყვარს, ამ ტყუილის კბილი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია მოიცვალა. თუმცა ამ ფონზე სააკაშვილი მაინც აფიქსირებს: „მზად ვარ, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლება დავთმო“.

– თუ ისინი მზად არიან, რომ საქართველოს დაუბრუნონ თავის ტერიტორიებზე კონტროლი და აქედან თავისი ჯარი გაიყვანონ, დღესვე, იქნება ეს მედვედევი თუ რუსეთის რეალური მმართველი, მზად ვარ, სადაც უნდათ, ჩავფრინდე და ხელი მოვაწერო ხელშეკრულებას, რომ ვცვლი ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიების დაბრუნევაზე. თუ მათ უნდათ მთლიან საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენა, ამაზე დღესვე ვაწერთ ხელს. ასევე მზად ვარ, დამატებით მოვიჭრა და გავუგზავნო მათ ჩემი სხეულის ის ნაწილები, რომლის მიმართაც მათ არაერთხელ გამოხატეს ინტერესი, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც უკვე არაერთხელ გაამახვილა თავისი სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც აგვისტოს ომის დროს პუტინმა აითვალწუნა და სააკაშვილს სწორედ იმ ნაწილით ჩამოკიდებით დაემუქრა.

რამდენად ნორმალურია სააკაშვილის მხრიდან რუსეთის ხელისფლებისთვის საკუთარი სხეულის იმ ნაწილების გაგზავნაზე აქცენტი, რომლის მიმართაც სააკაშვილის განცხადებით, რუსეთმა ინტერესი არაერთხელ გამოხატა და საერთოდ, სად მიდის რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუ სახალხო პარტიის ლიდერ **მამუკა გიორგაძესთან.**

***– ბატონო მამუკა, ბოლო დროს არაერთი განცხადება გაკეთდა რუსეთიდან მოსალოდნელ ახალ საფრთხეზე. რუსეთი ახალ აგრესიაზე დღესაც წამსვლელია?***

– როდესაც ესა თუ ის ფაქტი ერთხელ ან ორჯერ მოხდება, ბუნებრივია, ლოგიკური დასკვნის გაკეთება რთულდება. მაგრამ როდესაც უკვე პერმანენტულად ხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში მუდმივად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილისთვის ხავსის მიწოდება, როგორც წყალწაღებულისათვის, უკვე აშკარად ჩანს რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. რუსეთმა ხომ ძალიან კარგად იცის, თან არა მგონია, მედვედევი ან პუტინი გონებაშეზღუდულობით დიდი დოზით გამოირჩეოდნენ და ვერ მიხვდნენ იმას, რომ ნებისმიერი შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთება, სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი განცხადება; ნებისმიერი განცხადება, სადაც ნაგულისხმევია ან პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სააკაშვილის რეჟიმი უნდა შეიცვალოს – ეს სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. მსგავსი გამონათქვამები რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, სააკაშვილის ინტერესებშია. როცა ის ეტაპი დადგება, სააკაშვილს სალაპარაკო რომ აღარ აქვს, მაშინ ხდება ხოლმე რუსეთის მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთების საშუალება. როდესაც ელემენტარულად ძალიან მძიმე ჩიხში შევა სააკაშვილი, მაშინ გაკეთდება განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე არაფერ შუაში არ არის სააკაშვილის შეჭრა ცხინვალში და ნატოს გამო დაგვბომბა რუსეთმა. მაშინ გაახსენდება რუსეთს გარკვეული პროცესები, რომელიც მიმდინარეობს აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში თუ მთლიანად კავკასიის რეგიონში. რადგან ეს პერმანენტულ ხასიათს ატარებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის გეგმაზომიერი, თანმიმდევრული და მიზანმიმართული ხელშეწყობა სააკაშვილის რეჟიმისა. სხვანაირი ლოგიკური შეფასება მიმდინარე ფაქტების რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია, რომ მოხდეს. თუ სააკაშვილის ჩამოგდება უნდა, რუსეთის მხრიდან ყვირილი საჭირო არ არის. ელემენტარულად დაგვანებონ თავი და ქართველი ხალხი თავად მივხედავთ სააკაშვილს და თუ მაინცდამაინც დახმარება უნდათ, ისე მიეხმარონ ოპოზიციას, რომ სააკაშვილს კოზირები არ მისცენ. მერამდენედ უნდა გაგვაბითუროს რუსეთმა ამ თავისი პოლიტიკით. ასეთი განცხადებების შემდგომ პრაქტიკულად მედვედევის მხრიდან ხდება მუდმივად სააკაშვილის ინტერესების ლობირება საქართველოში. ერთის მხრივ, დეკლარირებულად სააკაშვილი, პუტინი და მედვედევი ერთმანეთს ლანძღავენ, მეორეს მხრივ, რეალურ ქმედებაში პრაქტიკულად საქართველო მიდის იმ მიმართულებით, როგორც უნდა რუსეთს. ეს იქნება პოლიტიკური ცხოვრება, ეკონომიკური ცხოვრება თუ საერთაშორისო ურთიერთობები. მედვედევის ეს ბოლო განცხადებაც ამის კიდევ ერთი გამოვლინებაა. როდესაც სამთავრობო პრესას და ტელევიზიას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, იმდენად თვალშისაცემია უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, როგორიც არის თუნდაც რეზერვისტებად წოდებული ჯგუფები, იმდენად თვალშისაცემია მათი დანაშაულებრივი ქმედებები, რომ ამ სიტუაციიდან გამოსაყვანად სააკაშვილს დასჭირდა ცალკე განცხადება გაეკეთებინა აფხაზეთის ხელისუფლებას და დაედანაშაულებინა ევროკავშირის წარმომადგენლები. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ძალიან კარგად თანამშრომლობს რუსეთის და საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

***– დაშვებული ფორმაა პრეზიდენტის მხრიდან განცხადების ასეთი ფორმულირება – სააკაშვილი ცარიელი ადგილია, ნულია?..***

– ჩვენ უფრო მეტი ვიცით, ნული სააკაშვილი მაშინ იყო, როცა რუსებმა ხელი შეუწყვეს ხელისუფლებაში მოსაყვანად. ეს რეჟიმი ჩანასახშივე არარაობა იყო. რაში გვჭირდება რუსეთისგან ამის შეხსენება. მაგრამ რუსეთისგან ამ ფორმით ნათქვამი მე შეურაცხყოფას მაყენებს; სახელმწიფოს აყენებს შეურაცხყოფას და სააკაშვილს ეხმარება. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

***– ფიქრობთ, რომ შეიძლება შეთანხმებულიც კი იყო მედვედევის მხრიდან მსგავსი განცხადების გაჟღერება ქართულ მხარესთან?***

– არათუ შეიძლება, არამედ ასპროცენტიანი ალბათობით შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის




მამუკა გიორგაძე

გამიზნული და წინასწარ განსაზღვრული. იმიტომ, რომ არ შეიძლება ამდენჯერ, ასეთი ინტენსივობით და იმ მომენტში, როდესაც სააკაშვილს არგუმენტი არ გააჩნია, თემაც კი არ გააჩნია ტელევიზორში რომ გამოჩნდეს, სწორედ ამ დროს იგეგმება ასეთი განცხადებების გაკეთება. შემდგომ პოზიტივის ფონზე, აღშენებლობის იმიჯით ხან ველოტრეკზე, ან ისტორიული შენობების გახსნაზე ხდება სააკაშვილის მხრიდან ამ თემით მანიპულირება. ჟანრის კანონია – ლექსიკა უნდა იყოს უცენზურო, სკანდალური, შეურაცხმყოფელი და ყურადღების მიმქცევი. ღმერთმა სააკაშვილი და მისი სხეულის ნაწილები მშვიდობაში მოახმაროს რუსეთს; როგორც მოიყვანა, წაიყვანოს და თავი დაგვანებოს. მაგრამ არა. ყველანაირად ხდება ხელშეწყობა იმისათვის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ქართველ ხალხზე ძალადობა გააგრძელოს.

***– სააკაშვილის ქმედებებს და განცხადებებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსები მეტ-ნაკლებად განსხვავებულად აფასებენ. რამდენად მართებულია, როცა პეზიდენტ ამ ტერმინოლოგიით საუბრობს? – მზად ვარ, მოვიჭრა და გავუგზავნო ჩემი სხეულის ის ნაწილები, რომლის მიმართაც მათ არაერთხელ გამოხატეს ინტერესი.***

– არ არის მართებული. არ შეიძლება პრეზიდენტმა, პოლიტიკოსმა საჯაროდ ამ ლექსიკით ილაპარაკოს. ეს არის მდარე გემოვნების ჩვენება. მთელი უბედურება ის არის, რომ რადგან სააკაშვილს პოლიტიკური თემები არ აქვს სალაპარაკო, ამით ხდება მისი მხრიდან ყურადღების მიქცევა. მას აქვს წინასწარ მომზადებული ფრაზა, რომელიც უნდა წავიდეს ყველა საინფორმაციოში. შესაბამისად, სწორედ ამ ლოკალურ ფრაზას ამბობს და მერე ხდება ამის ტირაჟირება. ყველა ფრაზა წინასწარ მომზადებულია და არა ექსპრომტად ნათქვამი, რომ გაუთვლელი იყოს, სად დგას სააკაშვილი, სად სცემს პასუხს. ყოველთვის ისე წარმოჩნდება, რომ პოზიტივის ფონზე – სტუდენტებთან შეხვედრის დროს და ა. შ., სცემს სააკაშვილი პასუხს რუსეთის ხელისუფლას. ეს იმიტომ კეთდება, რომ მერე ადამიანებმა სახლში, ქუჩაში ამაზე ილაპარაკონ. რუსეთი სააკაშვილს საშუალებას აძლევს, რომ იტიპოს. ნახე, რა ტიპია სააკაშვილი, როგორ გასცა პასუხი რუსეთის პრეზიდენტს?! რუსეთის პრეზიდენტი თავის ქვეყანაში ტიპობს და თავის ხალხს აჩვენებს, რა მაგარია, დასავლეთს საქართველო აახია. ნახე, რა გააკეთა, ისე წაუტყლაშუნა ამერიკას საქართველოს დაბომბვით, რომ ამერიკამ ხმაც ვერ ამოიღო. მედვედევი იქ ტიპობს, სააკაშვილი – აქ. ეს მართვის ერთნაირი, ბოლშევიკური სტილია.

***– დაბოლოს, ბატონო მამუკა, წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებით, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლებას აძლევს, არა მხოლოდ ივანიშვილის ინტერესები კმაყოფილდება. მინდია გულუაც ალაპარაკდა თავის პოლიტიკურ ამბიციებზე და მერაბიშვილმაც არ დააყოვნა ფრაზა, ფულს სუნი არ აქვსო. რა კურსზე მიანიშნებს მმართველი ელიტის ეს გათვლა?***

– პირველი, თუ ფულს სუნი არ აქვს, მაშინ „გაზპრომის“ ფულებს რატომ ასდის სუნი, როგორც თვითონ აცხადებენ. ეს მომენტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო იყო მერაბიშვილის გამოსვლაში ის თემა, რომ პოლიციის რეიტინგი უფრო მაღალი და გაცილებით მაღალი, ვიდრე ნაცმოძრაობის. საინტერესო იყო ის დეტალიც, რომ ლამის თავის მართლება მოუწია მერაბიშვილს პუტინისგან ირიბად შექების გამო. ეს ისე, საინტერესო თემებია. რაც შეეხება უშუალოდ ამ კანონს. თავისთავად, რაც არ უნდა კეთილშობილური მიზნისთვის მოერგოს ერთ კაცს კონსტიტუცია, ეს ქვეყნისთვის უკვე სერიოზული პრობლემაა. ეს უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური პრობლემაა. იმიტომ, რომ თუ კი ერთხელ მოირგე ან მოარგე რომელიმე ადამიანს კონსტიტუცია, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ მეორეთაც შეგიძლია ისარგებლო კონსტიტუციის ერთ პიროვნებაზე მორგებით. საქართველო ასეთმა ერთჯერადმა ცვლილებებმა კონსტიტუციაში, თუნდაც კეთილშობილური მიზნებით. ეს ცვლილებები გაპიარდა, როგორც ბიძინა ივანიშვილისთვის მომზადებული ცვლილება, მაგრამ ხელისუფლებას კიდევ სხვა ქვეტექსტები აქვს. თეორიულად ხომ შეიძლება მოხდეს, რომ საქართველოს პარლამენტში საქართველოს არც ერთი მოქალაქე არ მოხვდეს. რატომ არ შეიძლება მოიძებნოს, საქართველოს არამოქალაქე, რომელიც იყრის კენჭს, გაიმარჯვებს და დააკომპლექტებს საქართველოს მთავრობას. თავისთავად პარადოქსამდე მივდივართ. თუ პრაქტიკაზე გადავალთ, ხომ შესაძლებელია, რომ საქართველოს პარლამენტში აღმოჩნდეს ძალიან დიდი რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით რეგულაციებს და ვალდებულებებს. თავისუფლად შეუძლია ადამიანს იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე ჩვენს პარლამენტში და ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცულობით. შემდგომ თუ დანაშაულს ჩაიდენს, დადგეს მისი ექსტრადაციის საკითხი, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქისა. აღარაფერს ვამბობ უსაფრთხოების მექანიზმებზე. კაცმა არ იცის, რომელი სპეცსამსახური გამოიყენებს შემდგომ ასეთ მოქალაქეებს თავისი ინტერესების რეალიზებაში. და კიდევ ერთი მომენტი: თავისუფლად შესაძლებელია კანონი იქნეს მიღებული ვითომცდა ივანიშვილის გამო და საბოლოო ჯამში, აღმოჩნდეს, რომ ან 10 წელი არ უცხოვრია ივანიშვილს საქართველოში, ან რაღაც სხვა საბუთი არ აქვს წესრიგში და სხვა მიზეზით ივანიშვილს არ მიეცეს ამის შესაძლებლობა და მიეცეს ყველა სხვა დანარჩენს. ამიტომ ამ პრეცედენტის დაშვება პოლიტიკურად იქნება ქვეყნითვის ძალიან არასასურველი. ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული თავად ივანიშვილზე და მთელ ქართველ საზოგადოებაზე, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ცხოვრებაში ოფიციალურად ჩართვის სხვა მექანიზმები შეიძლება იქნეს ამუშავებული და არა ეს, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს და რომელსაც შორსმიმავალი მიზნები აქვს. ჯობია, ის მექანიზმები ავამუშავოთ სუყველამ ერთად.

# ამერიკის დაწესებული სანქციები შედეგს ვერ გამოიღებს

შორენა გონგლაძე

სტამბოლში გამართული შეხვედრა ექვსეულსა და ირანს შორის განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდა. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რეგიონისთვის, არამედ მსოფლიოსთვის და აქედან გამომდინარე – საქართველოსთვის.

გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის და გერმანიის დიპლომატების მოლაპარაკება ირანის წარმომადგენელთან დიდი დატვირთვის მოვლენა იყო, რომელსაც უნდა განესაზღვრა ომისა და მშვიდობის საკაცობრიო საკითხისთვის პრიორიტეტულობის მინიჭება. – აცხადებს ჰამლეტ ჭიპაშვილი. გთავაზობთ ანალიტიკურ სტატიას, რომელსაც „გეურასია. ორგ“-ი ავრცელებს. ჭიპაშვილი ამ შეხვედრას დამაიმედებელს უწოდებს.

„სტამბოლამდე დასავლეთმა ყველაფერი იღონა ვითარების მაქსიმალური დაძაბვისთვის და ამ გზაზე არაერთი ხერხი გამოიყენა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ-საფინანსო სანქციების სახით. სტამბოლამდე მისვლას არაერთი წელი დასჭირდა – დაპირისპირებით, ლანძღვა-გინებით, პრაქტიკული ნეგატიური ქმედებით დახუნძლული წლები, თუმცა ირანის დაყოლიება ვერ მოხერხდა.

ირანი აგრძელებდა დაწყებულ საქმეს და შიგადაშიგ დაბეჯითებით იმეორებდა, რომ რასაც ის აკეთებს, სულაც არ არის ის, რაც აშშ-ს და მის დასავლელ მოკავშირეებს ჰგონიათ. ირანის ნათქვამი ისე, როგორც მისი გულშემატკივარი ქვეყნების, უყურადღებოდ რჩებოდა, ეს კი აშკარა მიმანიშნებელი იყო იმაზე, რომ ვაშინგტონის ჰეგემონისტური გეგმებისთვის მთავარი იყო საბაბი და არა სინამდვილე, დაახლოებით ისეთი საბაბი, როგორსაც ადგილი ჰქონდა ერაყთან მიმართებაში.

დაძაბულობის პიკმა იმ დონეს მიაღწია, რომ თელ-ავივსა და ვაშინგტონში ლამის დაუფარავად აცხადებდნენ ირანის ბირთვული ობიექტების საჰაერო დარტყმებით ლიკვიდაციის შესახებ. ნათელი გახდა ისიც, რომ აშშ-ს და ევროკავშირის ეკონომიკური ბლოკადით, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემოღებულ ოთხ სანქციას დაემატა, ირანი არ წაიქცეოდა. პირიქით, მან თვით გადაუკეტა ევროპას ენერგომატარებლების ონკანი, გაცილებით ადრე, ვიდრე დასავლეთის სანქციები ამოქმედდებოდა.

შექმნილი ჩიხური მდგომარეობა ისევ ირანმა განმუხტა. მან არა მარტო საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ექსპერტები მიიწვია ირანში, ბირთვული ობიექტების საინსპექციოდ, არამედ სურვილი გამოთქვა ექვსეულთან წელიწად-ნახევრის წინ შეწყვეტილი მოლაპარაკების აღსადგენად. ოფიციალურმა ვაშინგტონმა, მისთვის ჩვეული სკეპტიციზმით შეამკო ირანელთა წინადადება, თუმცა შემოთავაზებაზე დათანხმდა. ამერიკა-ევროპაში არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ აიძულა ის ამგვარი ნაბიჯის გადადგმაში.

ამერიკაში წინასაარჩევნო მარათონია. მიუხედავად პრეზიდენტ ობამას რეიტინგისა, ის 9%-ით უსწრებს რესპუბლიკელთა კანდიდატ როუმნის, არავინ იცის, რა სურათი იქნება მომავალი შემოდგომისთვის. ირანის დაბომბვა არც ობამას რეიტინგს წაადგება და არც ეკონომიკურ ვითარებას, მით უმეტეს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს საჰაერო დარტყმით გამოწვეული შედეგები.

გარდა ამისა ობამა, რომელიც მშვიდობის მტრედობას იჩემებს და ავღანეთში ომის შეწყვეტისთვის იღვწის, ახალ სამხედრო ავანტიურაში ჩართვის ნაკლებად გულანთებული მომხრეა. ყველაფერთან ერთად ავანსად მიცემული ნობელის პრემია (მშვიდობისათვის) თავის საქმეს აკეთებს. მაგრამ ობამა მარტო არ არის.

აშშ-ი ბევრია თავგახურებული პოლიტიკოსი და ექსპერტი, რომელიც ირანის დასჯას მოითხოვს. ისინი სისტემატურად იკვებებიან ებრაული ლობის იდეებით. განსაკუთრებული რეაქციული გამოხდომებით ცნობილები არიან რესპუბლიკელები. გაიხსენეთ პრეზიდენტობის კანდიდატის როუმნის ბოლოდროინდელი ნათქვამი რუსეთის მტრობასთან დაკავშირებით და უმალ თვალწინ დაგიდგებათ ცივი ომის პერიოდი.

არანაკლებ მოსათოკია ისრაელი, რომელიც ყალყზეა შემდგარი და ირანისთვის დასარტყმელად ვაშინგტონის თანხმობის მოლოდინშია. ობამამ მოახერხა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ნეთანიაჰუს დაჯერება ირანის დაბომბვისგან თავშეკავებაში. ობამას წინადადება ასეთი იყო – ჯერ ვაცალოთ სანქციებს და შემდეგ გადავწყვიტოთ.

როგორც ჩანს, აშშ-ს მიერ დამონებულმა ევროპამაც ხმა ამოიღო. ირანის ნავთობის ონკანის გადაკეტვა მასზე მძიმედ მოქმედებს. ყოველივე ამან პოზიტივისკენ გადახარა დასავლეთი. თუ სტამბოლის მოლაპარაკებას შევხედავთ, დავინახავთ, რომ ეს რაუნდი კონსტრუქციულად, სასარგებლოდ წარიმართა, რაც განაცხადეს კეთრინ ეშტონმა – ევროკავშირის საგარეო საქმეების ხელმძღვანელმა და საიდ ჯალილიმ – ირანის დელეგაციის მეთაურმა.

„ევრონიუსისთვის“ მიცემული ინტერვიუს დროს საიდ ჯალილიმ თქვა, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ დასავლეთი დარწმუნდა დიალოგის აუცილებლობაში და ჩვენც მზადყოფნა გამოვთქვით. მან ისიც თქვა, რომ ირანი მაშინაც მზად იყო დიალოგის გაგრძელებისთვის, მაგრამ დასავლეთი წავიდა წინააღმდეგ.

ჯალილიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანქციებით ირანი არ დაიჩოქებს. მას დიდი საექსპორტო პოტენციალი აქვს (ნავთობი). თუ ვინმე კარგავს – ეს ევროპაა, რომელიც არა მარტო ირანულ ნავთობს კარგავს, არამედ 70-მილიონიან ირანულ ბაზარს. ჯალილიმ ისიც თქვა, რომ მომავალი შეხვედრის დროს, რომელიც ბაღდადში დაიგეგმა, უნდა გადაწყდეს სანქციების მოხსნის საკითხი.

თავის მხრივ ეშტონმა განაცხადა, რომ ირანს სრული უფლება აქვს გააგრძელოს სამშვიდობო ბირთვული კვლევები, გარდა ამისა შეთანხმდნენ ბირთვული გაუვრცობლობის საკითხებშიც.

სტამბოლის შეხვედრას წინ უსწრებდა აშშ-ს პრესაში ამერიკული სადაზვერვო მონაცემების გამოქვეყნებაც. მისი მიხედვით, ირანს 2003 წელს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# რატომ შეიცვალა ელდრაინის“ შემადგენლობა?

ეკა ირემაშვილი



ჯგუფის „ელდრაინი“ შემადგენლობა შეიცვალა. ამ ჯგუფმა გასულ წელს საქართველო ევროვიზიის სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე წარადგინა და მეცხრე ადგილიც მოიპოვა. ჯგუფი „ელდრაინი“ შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩენისთანავე სკანდალებში გაეხვია. საქართველოში ჩატარებულ შიდაშესარჩევ ფინალში ჯგუფმა გაიმარჯვა და მისი სოლისტი თაკო ვადაჭკორია იყო, თუმცა სრულიად მოულოდნელად ჯგუფმა სოლისტის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო და თაკო ვადაჭკორია სოფო ტოროშელიძით ჩაანაცვლა. მაშინ ქართველი საზოგადოებისთვის ჯგუფის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა და „ელდრაინში“ თაკო ვადაჭკორიას დაბრუნება მოითხოვა, რადგან „ელდრაინი“ ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული სწორედ მაყურებელთა მიერ გაგზავნილი ესემესების და ჟიურის გადაწყვეტილებით გახდა. ახლა კი, როცა „ელდრაინის“ შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, საზოგადოება ჯგუფთან დაკავშირებით კვლავ ალაპარაკდა და აღნიშნა, რომ მათ თაკო ვადაჭკორიას ცოდვამ უწია.

საპროდიუსერო კომპანია „ტიტანმა“ ჟურნალისტებისთვის სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და მისმა წარმომადგენელმა მარიტა თევზაძემ საზოგადოებას „ელდრაინის“ ახალი შემადგენლობა გააცნო. შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ საპროდიუსერო კომპანიამ ახალი ჯგუფის წევრების შესარჩევად სპეციალური შესარჩევი ტურები ჩაატარა, რომლის შედეგადაც ხუთი კანდიდატი შეარჩია და „ელდრაინი“ ახალი შემადგენლობით ასე წარადგინა – სოლისტი მარიამ ტომარაძე, რომელიც მაყურებელმა გასულ წელს პროექტ „ნიჭიერის“ საშუალებით გაიცნო, სოლო გიტარა – გიორგი იმედაშვილი, ბას გიტარა – სულხან წიკლაური, კლავიში – თამუნა შეყილაძე, დასარტყამი ინსტრუმენტი – გურამ მაკალათია, რომელსაც საზოგადოება ჯგუფის მეტსახელით იცნობს და იგი ოთარ ტატიშვილის გადაცემაში ბენდში უკრავს.

როგორც მარიტა თევზაძემ ჟურნალისტებს განუმარტა, „ელდრაინის“ ძველ წევრებთან საპროდიუსერო კომპანიამ თანამშრომლობა ინტერესთა კონფლიქტის გამო შეწყვიტა. მისივე თქმით, ჯგუფის სახელი „ელდრაინი“ და სიმბოლიკა საპროდიუსერო კომპანია „ტიტანის“ საკუთრებაა, ამიტომ დღეიდან მხოლოდ ახალ ჯგუფს ექნება ამ სახელის გამოყენების უფლება.

პრესკონფერენციაზევე გახდა ცნობილი, რომ ამჟამად ჯგუფი ახალი სიმღერის ჩაწერაზე მუშაობს. მისი პრეზენტაცია ერთ კვირაში გაიმართება. ჯგუფის რეპერტუარს ცნობილი შვედი კომპოზიტორი ადამ ალვერმარკი ქმნის. დაახლოებით ერთ თვეში კი „ელდრაინი“ ახალი შემადგენლობით უკვე სოლოკონცერტს გამართავს ღია ცის ქვეშ, სადაც ძველ რეპერტუარს შეასრულებს ახალი არანჟირებით და შეკრებილ საზოგადოებას ახალ სიმღერებსაც შესთავაზებს.

**მარიტა თევზაძე, საპროდიუსერო კომპანია „ტიტანის“ წარმომადგენელი:**

– საპროდიუსერო კომპანია „ტიტანი“ და ჯგუფის „ელდრაინი“ ძველი წევრები აღარ მუშაობენ ერთად, ამიტომ გვინდა ჯგუფის ახალი წევრები წარვადგინოთ.

***– რა გახდა თქვენი გზების გაყრის მიზეზი?***

– სამწუხაროდ, ეს ინტერესთა სხვადასხვაობის გამო მოხდა.

***– შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად ისაუბროთ ამ თემაზე?***

– ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმება ერთ-ერთი უკრაინული პროექტის გამო. ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ ვადასტურებთ პატივისცემას ჯგუფის ძველი წევრების მიმართ და წარმატებას ვუსურვებთ მათ მომავალი საქმიანობისას. ამასთანავე, უნდა ვთქვათ ისიც, რომ საპროდიუსერო კომპანია „ტიტანი“ არის მესაკუთრე ჯგუფის სახელის და სიმბოლიკის, შესაბამისად დღეიდან არავის შეეძლება მისი გამოყენება ახალი ჯგუფის გარდა.

***– რომელი უკრაინული პროექტის გამო მოხდა კონფლიქტი?***

– პირველი ეტაპისთვის ჩვენ თავს ვიკავებთ დეტალების თქმისგან, არ გვინდა ეს პრობლემა მწვავედ იყოს წარმოჩენილი, თუკი საჭიროება მოითხოვს, რა თქმა უნდა, მოგვიწევს დეტალების შესახებაც საუბარი.

***– ჯგუფს აღარ აქვს სახელი, არც ვებგვერდი, არც ფეისბუქი, მათ სიმღერებს კი სხვები ასრულებენ. ხომ არ მივიდა საქმე სასამართლომდე?***

– ცხადია, ჩვენ არ ვსაუბრობთ ზეპირი შეთანხმებებით, არსებობს სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომელიც შეგიძლიათ წაიკითხოთ, გაეცნოთ და გადაიღოთ. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ რადგან დღეს იყო ჯგუფის ახალი წევრების პრეზენტაცია, აქცენტირება არ გავაკეთოთ ამ საკითხებზე, მაგრამ თუ დაინტერესდებით, გაგაცნობთ ყველაფერს. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ საკითხზე ღიად ვისაუბროთ.

***– ვინ არიან ჯგუფის ახალი წევრები?***

– რაც შეეხება ჯგუფის ახალ წევრებს, საპროდიუსერო კომპანიამ ჩაატარა კასტინგი და შეირჩა 5 საუკეთესო კანდიდატი. ჯგუფის სოლისტი დღეიდან იქნება ყველასთვის კარგად ცნობილი და საყვარელი მომღერალი, პროექტ „ნიჭიერის“ შარშანდელი ფინალისტი მარი ტომარაძე.

***– ჯგუფის ახალმა წევრებმა მუშაობა უკვე დაიწყეს?***

– მოკლე ანონსსაც გავაკეთებ და გეტყვით, რომ ჯგუფმა ახალი შემადგენლობით მუშაობა უკვე დაიწყო და ძალიან მალე, ერთ კვირაში იქნება მზად, ჯგუფის ახალი სიმღერა, მაისში კი გაიმართება ცოცხალი კონცერტი ღია ცის ქვეშ ჯგუფის მონაწილეობით.

**მარიამ ტომარაძე, „ელდრაინის“ სოლისტი:**

– ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ჯგუფში „ელდრაინი“ ყოფნა, რადგან ვფიქრობ, რომ ის ძალიან კარგი ჯგუფია. ჩვენი ჯგუფის წევრები ნამდვილი პროფესიონალები არიან. დიდ დროს ვატარებთ ერთად, ყოველდღე რეპეტიცია გვაქვს და გამოდის ჩვენი ახალი სიმღერა. მისი მოსმენა შეგეძლებათ დაახლოებით კვირის ბოლოდან მასობრივად მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით. მგონია, რომ კარგი სიმღერაა და მოგეწონებათ. მაისში კი ვგეგმავთ კონცერტს, სადაც მთელი რეპერტუარი შესრულდება, ჩვენი ახალი სიმღერაც იქნება და უფრო კარგად და ახლოს გაგვიცნობს მაყურებელი.

***– როდის ჩატარდება კონცერტი?***

– დეტალები ზუსტდება, მარტო ის ვიცით, რომ ღია ცის ქვეშ იქნება და სადღაც ცენტრში რომ იქნება, ესეც ვიცით.

***– რამდენ სიმღერას შეასრულებთ?***

– 12 სიმღერას შევასრულებთ, ამის თქმა ნამდვილად შეიძლება.

**თამუნა შეყილაძე, კლავიში:**

– ჯგუფს „ელდრაინი“ ახალი შემადგენლობა ჰყავს. ჩვენ უკვე ინტენსიურად ვმუშაობთ, გვაქვს უწყვეტი რეპეტიციები და ვემზადებით სოლო კონცერტისთვის, რომელიც თვის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. შევასრულებთ ძველ რეპერტუარსაც, რომელიც იყო ჯგუფში და სრულდებოდა, მაგრამ ისინი იქნება სრულიად ახალი არანჟირებით. თუმცა ერთი ახალი სიმღერაც გვექნება. სულ მალე მას ჩვენს კონცერტამდე მოისმენთ, რომ ჩვენი ტანდემის შეფასება შეძლოთ.

# დუტამ ფილმების გადაღება დაიწყო

ეკა ირემაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ დუტა სხირტლაძეს მთელი თელავის თეატრი სასამართლოში უჩივის, მსახიობი და შოუმენი მშვიდად განაგრძობს თბილისში საქმიანობას და კახეთისკენ არც კი იყურება. სხვადასხვა გასართობი თუ მუსიკალური პროექტების წაყვანის პარალელურად, დუტა რეჟისორობს კიდეც – სპექტაკლებს დგამს თეატრებში და ფილმებს იღებს. ამის დასტურია დუტას კომპანიის „დუტა პროდაქშენის“ მიერ წარდგენილი ფილმები, რომლებიც თბილისსა და ბათუმში ერთდროულად იქნა წარმოდგენილი.

„დუტა პროდაქშენის“ საქმიანობას კომპანია „ჯეოსელიც“ შეუერთდა და ასე შეიქმნა ხუთი რეჟისორის მიერ გადაღებული ხუთი დამოუკიდებელი ფილმი. „იასამნისფერი ალმანახი – ... და მერე?!“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელშიც 5 მოკლემეტრაჟიანი ფილმია გაერთიანებული და ერთ-ერთის ავტორი თავად დუტა სხირტლაძეა. შოუმენის მიერ გადაღებულ ნამუშევარს „ოცდაჩვიდმეტი“ ჰქვია და 1937 წლის რეპრესიების პერიოდზეა აგებული.

მთლიანობაში „დუტა პროდაქშენის“ მიერ წარმოებულ ხუთ ფილმში ჩართული არიან დამწყები რეჟისორები – თაზო ნარიმანიძე, გიორგი ქობალია, გიგა ბაინდურაშვილი და ივა ფეზუაშვილი. თითოეული კინონოველა საშუალოდ ნახევარსაათიანია და მათი გაერთიანებით ორსაათნახევრიანი ალმანახი შეიქმნა.

**ომან თურანი, „ჯეოსელის“ ხელმძღვანელი:**

– კომპანიას ჰქონდა სურვილი საიუბილეო წლის ფარგლებში ბევრი სიახლე შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის და მათ შორს ერთ-ერთი იდეა იყო კინო. საქართველოში ბევრი პროფესიონალი რეჟისორი და კინომცოდნეა და შეგვეძლო ძალიან კარგი ფილმი გადაგვეღო, მაგრამ ჩვენ ამ ახალგაზრდებს მივეცით შანსი, გამოავლინონ ცოდნა. მათ ნაშრომებში უნდა ვნახოთ ნიჭი, რაც გააჩნიათ. ეს არის ერთგვარი ნოვაცია და ექსპერიმენტი. ჩვენ „ჯეოსელის“ 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოსახლეობას მარტში ბევრი სიახლე და სიურპრიზი შევთავაზეთ, ეს პროექტი სწორედ ერთ-ერთი მათგანია. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ეს არ არის დასასრული და სიურპრიზები იუბილარი ჯეოსელისგან კიდევ გაგრძელდება.

**დუტა სხირტლაძე, მსახიობი, რეჟისორი:**

– „იასამნისფერი ალმანახის“ ფარგლებში გაერთიანებულია ოთხი ახალგაზრდა რეჟისორის და ჩემ მიერ გადაღებული ხუთი კინონოველა. ალმანახი იწყება კინონოველით „ქალაქის ღია ფანჯრები“, რომლის რეჟისორი თაზო ნარიმანიძეა. ფილმი მისტიკური დრამაა და ერთი მწერლის სასიყვარულო თავგადასავლის მიხედვით XX საუკუნის დასაწყისის ისტორიას ასახავს. ეს ფილმი მისი სადებიუტო ნამუშევარია. მომდევნო ფილმი „ოცდაჩვიდმეტი“ უკვე ჩემია. ალმანახს აგრძელებს ახალგაზრდა კინორეჟისორის გიორგი ქობალიას ნამუშევარი სახელწოდებით „ლითონი“. ფილმის სიუჟეტი გასული საუკუნის 70-იანი წლების ეპოქას ასახავს, სადაც აღწერილია პირველი ეროვნული პროტესტისა და დისიდენტური მოძრაობის საკითხები საბჭოთა პერიოდში. მეოთხე ფილმი არის ნოველა „ფეხშიშველი“. მისი რეჟისორი გიგა ბაინდურაშვილია, რომელიც მაყურებელს გასული საუკუნის 90-იანი წლების მძიმე შედეგებზე მოუთხრობს. ხოლო პროექტის ბოლო ფილმია ივა თეზუაშვილის ნამუშევარი „ბაზი“, რომელიც დებიუტანტმა რეჟისორმა თავისივე მოთხრობის, „ალჩუს“ მიხედვით გადაიღო. ეს მოთხრობა „ჯეოსელისა“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ წლევანდელი გამარჯვებულია. ალმანახში აღნიშნული მოთხრობა სპეციალურად სცენარად გადაკეთდა და ფილმს უკვე „ბაზი“ ეწოდება, რომლის სიუჟეტიც დღევანდელ რეალობას აღწერს.

***– რა პრინციპით შეარჩიეთ რეჟისორები?***

– ჩვენ გვინდოდა შანსი, ახალგაზრდა რეჟისორებისთვის მიგვეცა. პროექტი „ჯეოსელის“ 15 წლის იუბილეს ფარგლებში დაიგეგმა.

***– როგორ შეარჩიეთ თემატიკა ფილმებისთვის?***

– ეს ალმანახი საქართველოში XX საუკუნეში მიმდინარე მოვლენებს აღწერს, როდესაც ევროპასთან დაახლოებული ქვეყანა საბჭოთა კავშირის გავლენით ჩამოშორდა მას. ჩვენს ნამუშევრებში კი ნაჩვენებია, თუ როგორ ცდილობს ჩვენი სამშობლო ისევ დაუახლოვდეს ევროპას.

***– როგორია მოლოდინი?***

– მგონია, რომ ეს ფილმები საინტერესო შედეგებს გამოიღებს.

***– რას ნიშნავს თქვენი პროექტის სათაური?***

– პროექტის სახელწოდებაში „იასამნისფერი ალმანახი – ... და მერე?!“ იასამნისფერი უკავშირდება პროექტის მხარდამჭერ კომპანია „ჯეოსელს“. სახელი გამოვიტანეთ გარეთ და ამის შედეგად ფილმებმა რეკლამისაგან აბსოლუტური დამოუკიდებლობა მიიღო. იმედი მაქვს, რომ ჯეოსელის სიახლეების მსგავსად კინოსაც აიტაცებენ და საზოგადოებაში ძვრები მოხდება.

***– გააგრძელებთ ამ პროექტს?***

– კომპანია „დუტა პროდაქშენი“ დაახლოებით 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებას გეგმავს და ამ პროექტში უფრო მეტი ახალგაზრდა რეჟისორი ჩაერთვება. აღნიშნულ პროექტში ბევრი დებიუტი შედგა, მათ შორის რეჟისორების, ოპერატორების და მსახიობთა ნაკრებისა. ეს ჩვენთვის ერთგვარი ექსპერიმენტი იყო და ის აუცილებლად გაგრძელდება.

# არქეოლოგიური ძეგლების კვლევა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოში არსებული უნიკალური ძეგლების კვლევა დაიწყო. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცა ნებართვები არქეოლოგიური ძეგლების – ზედა ციხესულორის, თრელიგორების, ოზურგეთში ძველი აბანოსა და ხოვლეგორას კვლევისა და შესწავლისათვის.

არქეოლოგები ახალი აღმოჩენების შესახებ სამუშაო ანგარიშს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ნებართვის მოქმედების გათვალიწინებულ ვადებში წარმოადგენენ. არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შედეგები გავრცელდება და გამოქვეყნდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ ჟურნალში.

– ყველა ეს ძეგლი ნამდვილად უნიკალურია, ამიტომ მათი კვლევა აუცილებელია. ხოვლეგორა კასპის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება, სოფელ ხოვლეშია და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლია. ხოვლეგორას ნამოსახლარი ზღვის დონიდან 698.3 მეტრის სიმაღლეზე არსებულ მოზრდილ გორაზეა. XX საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაითხარა ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა რვა ჰორიზონტი – ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნიდან ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ჩათვლით. 2012 წელს დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები ითვალისწინებს არქეოლოგიურ გაწმენდით და გათხრით სამუშაოებს. მისი შემსრულებელი კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციაა. თრელიგორების ნასახლარი კი თბილისში, სოფელ დიღმის ტერიტორიაზე მდებარეობს. 1970-იანი წლებიდან დაწყებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია ენეოლითის ხანიდან მომდინარე, ადრე შუა საუკუნეების ხანის მასალები. 2012 წელს დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს მოქალაქე ირინა ბასილაძის საკუთრებაში არსებულ 700 მეტრი მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. აღნიშნული ტერიტორია აღმოსავლეთის მხრიდან უშუალოდ ემიჯნება ტერიტორიას, სადაც 2011 წელს გამოვლინდა ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის დასასრულის თლილი ქვით ნაგები ტაძრის ნაშთები. არქეოლოგიური სამუშაოები ითვალისწინებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არაკულტურული ფენების მოხსნას მოქანიზაციითა და მუშახელის გამოყენებით საპროექტო ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე. სამუშაოები 5 მაისს დასრულდება. ზედა ციხესულორი, ე.წ. „გიორგაძეების უბანი“, მეტად მნიშვნელოვანია. ამ ტერიტორიაზე მდებარეობს ადრეშუასაუკუნეების პატარა სიმაგრე, რომელსაც 1973-75 წლებში შეისწავლიდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია. 2012 წელს დაგეგმილი არქეოლოგიური გათხრები ითვალისწინებს აღნიშნული ციხის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას. სამუშაოების შემსრულებელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტია, სამუშაოები კი 28 ივნისამდე ჩატარდება. რაც შეეხება ოზურგეთს, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და იუსტიციის სახლის შენობის მიმდებარედ, სამშენებლო პროცესების დროს ძველი აბანო გამოვლინდა. არქეოლოგიური სამუშაოები გულისხმობს აბანოს ქვედა და ზედა სართულების ნანგრევებისაგან გაწმენდას, აბანოს გეგმარებისა და სამშენებლო ჰორიზონტების დაზუსტებას, აბანოს გარშემო ტერიტორიის დაღრმავებას, მისი შემსრულებელია ვაჟა სადრაძე, სამუშაოები 7 მაისამდე გაგრძელდება, – აცხადებს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

როგორც საზოგადოებისთვის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# მეტალურგი სათავეში მოექცა

## ტორპედო _ ზესტაფონი 2:1

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი**

*1:0 კუხიანიძე (12), 1:1 გორგიაშვილი (37), 2:1 ფირცხალავა (90)*

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, რიგვავა, გამეზარდაშვილი, კვახაძე, გ.გურული, დილმელაშვილი, გ.დათუნაიშვილი, საბანაძე, დოლიძე (იოსელიანი 65), თარხნიშვილი (ფანცულაია 85), კუხიანიძე (ფირცხალავა 64)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე, ონიანი, მენთეშაშვილი, ელიავა, გორგიაშვილი, შარიქაძე (ბაბუნაშვილი 77), საჯაია, აფციაური (გრიგალაშვილი 57), დვალი, ოვონიკოკო (მუჯირი 57)

მატჩის წინ, მოტივაცია ორივე გუნდს საკმაოდ ჰქონდა. ქუთაისში თამაში ყველაზე გვიან დაიწყო და უკვე იცოდნენ სხვა მატჩების შედეგები. რუსთაველთა გამარჯვების გამო, ქვეყნის ზესტაფონელები მეორე ადგილამდე დაეშვნენ, ხოლო ტორპედოელები – მეოთხემდე და მესამე ადგილის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგნენ.

მატჩი ქუთაისელთა სახიფათო იერიშით დაიწყო. ნიკა საბანაძემ ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან მოიპოვა და კუხიანიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, რომელმაც სუსტად დაარტყა. ფეროელებმა მალევე უპასუხეს – ჯაბა დვალი ბურთიანად დაიძრა ქუთაისელთა კარისაკენ, რამდენიმე მეურვე ჩამოიშორა და ოვონიკოკოს დროულად უპასა, რომელიც „ტორპედოს" საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე იყო, დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი ქუთაისელთა კარის ბადეს გვერდიდან მოხვდა. თითქმის მაშინვე, მასპინძელთა კარისკენ დვალმა დაარტყა შორიდან, მაგრამ არაზუსტად.

მატჩის მე-12 წუთზე „ტორპედო" დაწინაურდა. საბანაძემ ისევ იბრძოლა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან და ბურთი მოიხელთა, სწრაფადვე გადააწოდა დოლიძეს, რომელიც მახვილი კუთხიდან შეიჭრა ზესტაფონელთა საჯარიმოში, ელიავა ჩამოიშორა და დაარტყა, თუმცა ბურთი საჯაიას ფეხიდან აიჭრა, უცნაური ტრაექტორია მოხაზა და ხარიხას მოხვდა, იქიდან ასხლეტილზე კი კუხიანიძემ იმარჯვა და თავურით ანგარიში გახსნა – 1:0.

ამის შემდეგ, „ზესტაფონი" გააქტიურდა და რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია. მიგინეიშვილის კარისკენ გორგიაშვილმა და დვალმა დაარტყეს არაზუსტად. ყვირილისპირელებმა თითქმის ასპროცენტიანი მომენტიც გაანიავეს – რიგვავას და კვახაძის შეუთანხმებელი მოქმედებით გორგიაშვილს შეეძლო ესარგებლა, მაგრამ თორნიკეს ახლო მანძილიდან დარტყმულმა ხარიხას ზემოდან გადაუარა. სტუმრები თანდათანობით მარწუხებში აქცევდნენ მეტოქეს და ლოგიკური გოლიც გაიტანეს. 37-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელშიც რამდენიმე ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა და გორგიაშვილის – 1:1.



ტაიმის მიწურულს, ზესტაფონელები შეცდნენ თამაშგარეს გაკეთებისას და საბანაძემ მახვილი კუთხიდან წინ გამოსულ კვასხვაძეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ მისი მცდელობა არაზუსტი გამოდგა.

მეორე ტაიმის საწყისი 30 წუთი, სანახაობრივი თვალსაზრისით ძალიან უფერული გამოდგა. გუნდები მოედნის თითოეულ მონაკვეთზე უშელავათოდ იბრძოდნენ და სახიფათო მომენტების მხრივაც სიმწირე იყო. მატჩის უკანასკნელი 15 წუთი კი გაცილებით საინტერესო გამოდგა და ქომაგებმაც სახიფათო მომენტები საკმაოდ იხილეს. 75-ე წუთზე იოსელიანმა ითამაშა შეტევის მარცხენა ფლანგზე კარგად, ჩააწოდა და ზესტაფონელთა საჯარიმოში მცირე არეულობაც დაიწყო. ამ სიტუაციაში ფირცხალავამ ცადა ეფექტურად, უკუვარდნით გატანა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოვიდა. სულ მალე, სტუმრებმა დაწინაურების ჩინებული შანსი მიიღეს, როდესაც დვალის პასით, მეკარესთან პირისპირ გრიგალაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ძალზე სუსტად დაარტყა და მიგინეიშვილმაც ნახტომში მოიგერია ბურთი. თითქმის მაშინვე, ტორპედოელთა კარს მენთეშაშვილი დაემუქრა შორეული დარტყმით, მაგრამ ქუთათურთა მეკარემ შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება.

თითქოს მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მასპინძლებმა მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში გამარჯვების გოლი გაიტანეს. მოედნის შუაგულში ღონღაძის მიერ დაშვებული შეცდომით საბანაძემ ისარგებლა. ბურთიანად მეტოქის კარისკენ დაიძრა და ფანცულაიას დროულად უპასა, რომელმაც ერთი შეხებით, ბურთი საჯარიმოში შეჭრილ ფირცხალავას გადააწოდა, რომელმაც როინ კვასხვაძე უშანსოდ დატოვა – 2:1.

### მატჩის შემდეგ:

**გია ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

– როგორც მოველოდით, დაძაბული თამაში გამოვიდა. მატჩისათვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით, თუმცა სამწუხაროდ, ბევრი რამ არ გამოგვივიდა. რთული თამაში იყო და ვინც მტკიცე ხასიათს გამოავლენდა, ის გაიმარჯვებდა. სამწუხაროდ, ის ჰანდიკაპი, რომელიც გვქონდა გავანიავეთ. ეტყობა ნაადრევად ვირწმუნეთ ჩემპიონობა და მოვდუნდით. მართალია, ბევრი ამბობს, რომ „ზესტაფონმა" ჩემპიონობა დაიმსახურაო, მაგრამ მე ჩემსას ვიტყვი – ვინც საბოლოოდ პირველ საფეხურზე დაასრულებს ჩემპიონატს, ღირსეული ჩემპიონიც ის იქნება.

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– დრამატული და ემოციებით დატვირთული მატჩი იყო. დავეთანხმები ჩემს კოლეგას, ეს ნამდვილად ხასიათის მატჩი იყო, რომელშიც „ტორპედომ" იმარჯვა. მართალია, „ვწუხვარ", რომ „ზესტაფონს" ლიდერობა დავაკარგვინეთ, მაგრამ გამარჯვება ჩვენი გუნდისათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. ჩვენს გუნდს კიდევ ბევრი რამ აქვს შესაძენი მეტი სტაბილურობისთვის.

## მეტალურგი _ დილა 1:0

**რუსთავი. ფოლადი**

*1:0 გეწაძე (76)*

*67-ე წუთზე რაზმაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ს.თოდუა (სეთურიძე 61), გ.კვარაცხელია, მახვილაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, თექთურმანიძე (ქავთარაძე 80), დობროვოლსკი (ი.მაისურაძე 74), გეწაძე, ტატანაშვილი

**დილა:** სკენდერი, ალადაშვილი, ქარქუზაშვილი, თოთაძე, მეგრელიშვილი, კაშია, ბეჭვაია (კანდელაკი 66), ს.გურული, კახელიშვილი, გოგინაშვილი (ახალკაცი 46), ბარაბაძე (ჯიქია 13)

რუსთაველები უპირატესობას ფლობდნენ და გამარჯვებაც ლოგიკურია. „დილამ" მხოლოდ მაშინ მოინდომა, როდესაც ჩამორჩა და დროც აღარ ეყო.

პირველი ტაიმი სანახაობრივი თვალსაზრისით ჩამორჩებოდა მეორეს. გამოსარჩევი იყო მხოლოდ მე-16 წუთზე გეწაძეს ჩაწოდებული საჯარიმო, რასაც საჯარიმოში არეულობა მოყვა და ირაკლი სიხარულიძემ ვერ ისარგებლა. მალევე, იმავე სიხარულიძეს მარინ სკენდერმა თავით დარტყმული ბურთი აუღო.

მეორე ტაიმში რუსთაველებმა ტემპს უმატეს. დენის დობროვოლსკი შორიდან ცდილობდა გატანას და სკენდერმა ბურთი ხელებში შეიმაგრა, ხოლო 54-ე და 59-ე წუთებზე, თექთურმანიძემ ჯერ ძელს, შემდეგ კი ხარიხას მოარტყა ბურთი.

67-ე წუთზე კი, „დილას" მცველ ივანე კანდელაკს საკუთარ საჯარიმოში ხელზე მოხვდა ბურთი და არბიტრმაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. ლუკა რაზმაძემ კუთხეში დაარტყა, თუმცა, სკენდერმა ესეც მოიგერია.

თუმცა, ხორვატი მეკარეც უძლური აღმოჩნდა, როდესაც რევაზ გეწაძემ შორიდან გაისროლა და „მეტალურგი" ლიდერად აქცია.

### მატჩის შემდეგ:

**თემურ შალამბერიძე, დილას მთავარი მწვრთნელი:**

– უპირველესად, რუსთაველებს ვულოცავ გამარჯვებას. დასანანი გოლი გავუშვით. ისე, ხელოვნურსაფარიან მინდორზე თამაში გვიჭირს. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, რომლის მიზეზი ტრავმებიცაა და საფარის ფაქტორიც. ზოგიერთი ფეხბურთელი მაინც ახალი ნაოპერაციევია და ხელოვნურზე თამაში აკრძალული აქვს.

**კობა ჟორჟიკაშვილი, მეტალურგის მთავარი მწვრთნელი:**

– კარგია, რომ „დილას" გარშემო ამხელა აჟიოტაჟია და ასეც უნდა გაგრძელდეს. „დილას" კარგი შემადგენლობა ჰყავს და მწვრთნელებმაც მოკლე დროში დაატყეს ხელი გუნდს. რაც შეეხება ჩვენს მდგომარეობას, საჩემპიონო რბოლაში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

### ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-ფულემი ... 4:0
სტოკი-არსენალი ... 1:1
სანდერლენდი-ბოლტონი ... 2:2
სუონსი-ვულვზი ... 4:4
ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა ... 0:0
უიგანი-ნიუკასლი ... 4:0
ნორვიჩი-ლივერპული ... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 26 | 5 | 4 | 86:32 | 83 |
| 2.სიტი | 35 | 25 | 5 | 5 | 87:27 | 80 |
| 3.არსენალი | 36 | 20 | 6 | 10 | 68:44 | 66 |
| 4.ნიუკასლი | 35 | 18 | 8 | 9 | 53:46 | 62 |
| 5.ტოტენჰემი | 34 | 17 | 8 | 9 | 57:39 | 59 |
| 6.ჩელსი | 34 | 16 | 10 | 8 | 56:38 | 58 |
| 7.ევერტონი | 35 | 14 | 9 | 12 | 46:38 | 51 |
| 8.ლივერპული | 35 | 13 | 10 | 12 | 43:37 | 49 |
| 9.ფულემი | 35 | 12 | 10 | 13 | 45:48 | 46 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 13 | 7 | 16 | 41:47 | 46 |
| 11.სანდერლენდი | 36 | 11 | 12 | 13 | 44:43 | 45 |
| 12.სუონსი | 36 | 11 | 11 | 14 | 43:49 | 45 |
| 13.ნორვიჩი | 36 | 11 | 10 | 15 | 47:63 | 43 |
| 14.სტოკი | 35 | 11 | 10 | 14 | 33:49 | 43 |
| 15.ასტონ ვილა | 36 | 7 | 16 | 13 | 36:50 | 37 |
| 16.უიგანი | 36 | 9 | 10 | 17 | 38:60 | 37 |
| 17.ქპრ | 35 | 9 | 7 | 19 | 39:57 | 34 |
| 18.ბოლტონი | 35 | 10 | 4 | 21 | 41:69 | 34 |
| 19.ბლექბერნი | 35 | 8 | 7 | 20 | 47:73 | 31 |
| 20.ვულვზი | 36 | 5 | 9 | 22 | 38:79 | 24 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-ბრაიტონი ... 0:0
ბარნლი-ბრისტოლი ... 1:1
ბირმინგემი-რედინგი ... 2:0
ვესტ ჰემი-ჰალი ... 2:1
დერბი-პიტერბრო ... 1:1
დონკასტერი-იფსვიჩი ... 2:3
კრ.პალასი-კარდიფი ... 1:2
ლიდსი-ლესტერი ... 1:2
მილუოლი-ბლექპული ... 2:2
ნოტინგემი-პორთსმუთი ... 2:0
საუთჰემპტონი-ქოვენთრი ... 4:0
უოტფორდი-მიდლსბრო ... 2:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-მალიორკა ... 1:3
ლევანტე-გრანადა ... 3:1
ესპანიოლი-ხიხონი ... 0:3
სოსიედადი-რასინგი ... 3:0
ვილიარეალი-ოსასუნა ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 34 | 28 | 4 | 2 | 109:30 | 88 |
| 2.ბარსელონა | 34 | 25 | 6 | 3 | 97:26 | 81 |
| 3.ვალენსია | 34 | 15 | 10 | 9 | 54:42 | 55 |
| 4.ლევანტე | 35 | 15 | 7 | 13 | 51:48 | 52 |
| 5.მალაგა | 34 | 15 | 7 | 12 | 50:47 | 52 |
| 6.ატლეტიკო | 34 | 13 | 9 | 12 | 47:42 | 48 |
| 7.ბილბაო | 34 | 12 | 12 | 10 | 49:44 | 48 |
| 8.ოსასუნა | 35 | 11 | 15 | 9 | 39:55 | 48 |
| 9.სევილია | 34 | 12 | 10 | 12 | 41:39 | 46 |
| 10.მალიორკა | 35 | 12 | 10 | 13 | 39:42 | 46 |
| 11.ესპანიოლი | 35 | 12 | 9 | 14 | 44:49 | 45 |
| 12.ხეტაფე | 35 | 12 | 9 | 14 | 39:48 | 45 |
| 13.სოსიედადი | 35 | 11 | 10 | 14 | 44:50 | 43 |
| 14.ბეტისი | 34 | 12 | 6 | 16 | 40:49 | 42 |
| 15.რაიო | 34 | 12 | 4 | 18 | 50:60 | 40 |
| 16.გრანადა | 35 | 11 | 6 | 18 | 32:52 | 39 |
| 17.ვილიარეალი | 35 | 8 | 14 | 13 | 36:49 | 38 |
| 18.ხიხონი | 35 | 9 | 7 | 19 | 38:64 | 34 |
| 19.სარაგოსა | 34 | 8 | 7 | 19 | 29:60 | 31 |
| 20.რასინგი | 35 | 4 | 14 | 17 | 24:56 | 26 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვალიადოლიდი-კარტახენა ... 2:1
ალმერია-დეპორტივო ... 2:0
ხირონა-ალკორკონი ... 0:0
ლას პალმასი-უესკა ... 1:3
მურსია-საბადელი ... 1:0
ნუმანსია-ვილიარეალი ბ ... 0:1
ხიმნასტიკი-ალკოიანო ... 2:0
სელტა-ბარსელონა ბ ... 4:1

### იტალია. სერია ა

პალერმო-კატანია ... 1:1
კალიარი-კიევო ... 0:0
რომა-ნაპოლი ... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 20 | 14 | 0 | 58:18 | 74 |
| 2.მილანი | 34 | 21 | 8 | 5 | 64:27 | 71 |
| 3.ნაპოლი | 35 | 14 | 13 | 8 | 62:43 | 55 |
| 4.ლაციო | 34 | 16 | 7 | 11 | 50:43 | 55 |
| 5.უდინეზე | 34 | 14 | 10 | 10 | 45:35 | 52 |
| 6.ინტერი | 34 | 15 | 7 | 12 | 50:46 | 52 |
| 7.რომა | 35 | 15 | 6 | 14 | 55:50 | 51 |
| 8.კატანია | 35 | 11 | 14 | 10 | 45:47 | 47 |
| 9.პარმა | 34 | 11 | 11 | 12 | 45:51 | 44 |
| 10.კიევო | 35 | 11 | 11 | 13 | 30:41 | 44 |
| 11.სიენა | 34 | 11 | 10 | 13 | 42:36 | 43 |
| 12.ატალანტა | 34 | 12 | 13 | 9 | 38:36 | 43 |
| 13.პალერმო | 35 | 11 | 9 | 15 | 48:54 | 42 |
| 14.კალიარი | 35 | 10 | 12 | 13 | 36:42 | 42 |
| 15.ბოლონია | 34 | 10 | 12 | 12 | 35:40 | 42 |
| 16.ფიორენტინა | 34 | 10 | 11 | 13 | 34:39 | 41 |
| 17.ჯენოა | 34 | 9 | 9 | 16 | 44:63 | 36 |
| 18.ლეჩე | 34 | 8 | 11 | 15 | 38:51 | 35 |
| 19.ნოვარა | 34 | 6 | 10 | 18 | 29:57 | 28 |
| 20.ჩეზენა | 34 | 4 | 10 | 20 | 21:51 | 22 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### იტალია. სერია ბ

ასკოლი-ლივორნო ... 2:0
ვიჩენცა-ნოჩერინა ... 0:1
გროსეტო-პადოვა ... 2:2
გუბიო-პესკარა ... 0:2
მოდენა-იუვე სტაბია ... 3:0
რეჯინა-ალბინოლეფე ... 1:0
სამპდორია-ბარი ... 2:0
ტორინო-კროტონე ... 2:1
ჩიტადელა-ვარეზე ... 0:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი . 2:5
ლევერკუზენი-ჰანოვერი ... 1:0
ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი ... 2:3
ფრაიბურგი-კიოლნი ... 4:1
შალკე-ჰერტა ... 4:0
ვოლფსბურგი-ვერდერი ... 3:1
ჰამბურგი-მაინცი ... 0:0
ბაიერნი-შტუტგარტი ... 2:0
გლადბახი-აუგსბურგი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 33 | 24 | 6 | 3 | 76:25 | 78 |
| 2.ბაიერნი | 33 | 22 | 4 | 7 | 73:21 | 70 |
| 3.შალკე | 33 | 19 | 4 | 10 | 71:42 | 61 |
| 4.გლადბახი | 33 | 16 | 9 | 8 | 46:24 | 57 |
| 5.ლევერკუზენი | 33 | 14 | 9 | 10 | 48:43 | 51 |
| 6.შტუტგარტი | 33 | 14 | 8 | 11 | 60:44 | 50 |
| 7.ჰანოვერი | 33 | 11 | 12 | 10 | 39:44 | 45 |
| 8.ვოლფსბურგი | 33 | 13 | 5 | 15 | 45:57 | 44 |
| 9.ვერდერი | 33 | 11 | 9 | 13 | 47:55 | 42 |
| 10.ნიურნბერგი | 33 | 12 | 6 | 15 | 37:45 | 42 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 33 | 10 | 11 | 12 | 40:44 | 41 |
| 12.ფრაიბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 45:57 | 40 |
| 13.მაინცი | 33 | 9 | 12 | 12 | 47:48 | 39 |
| 14.ჰამბურგი | 33 | 8 | 12 | 13 | 35:56 | 36 |
| 15.აუგსბურგი | 33 | 7 | 14 | 12 | 35:49 | 35 |
| 16.კიოლნი | 33 | 8 | 6 | 19 | 38:71 | 30 |
| 17.ჰერტა | 33 | 6 | 10 | 17 | 37:63 | 28 |
| 18.კაიზერი | 33 | 4 | 11 | 18 | 23:52 | 23 |

### საფრანგეთი. თასი

**ფინალი**

ლიონი-კევიი ... 1:0

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

ერაკლესი-ჰერენვენი ... 2:4
ვიტესი-ექსელსიორი ... 3:2
უტრეხტი-ბრედა ... 1:3
ვენლო-დენ ჰააგი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 31 | 20 | 7 | 4 | 86:34 | 67 |
| 2.ალკმაარი | 31 | 18 | 7 | 6 | 62:33 | 61 |
| 3.ფეინოორდი | 31 | 18 | 7 | 6 | 62:34 | 61 |
| 4.ჰერენვენი | 32 | 17 | 10 | 5 | 73:53 | 61 |
| 5.ტვენტე | 31 | 17 | 9 | 5 | 76:36 | 60 |
| 6.პსვ | 31 | 18 | 6 | 7 | 76:45 | 60 |
| 7.ვიტესი | 32 | 15 | 7 | 10 | 45:38 | 52 |
| 8.როდა | 31 | 14 | 2 | 15 | 51:59 | 44 |
| 9.ვალვაიკი | 31 | 12 | 5 | 14 | 32:43 | 41 |
| 10.ნაიმეგენი | 31 | 12 | 4 | 15 | 38:42 | 40 |
| 11.ერაკლესი | 32 | 11 | 7 | 14 | 50:56 | 40 |
| 12.უტრეხტი | 32 | 10 | 9 | 13 | 50:55 | 39 |
| 13.გრონინგენი | 31 | 10 | 5 | 16 | 39:58 | 35 |
| 14.ბრედა | 32 | 9 | 7 | 16 | 41:51 | 34 |
| 15.დენ ჰააგი | 32 | 8 | 8 | 16 | 35:57 | 32 |
| 16.ვენლო | 32 | 8 | 4 | 20 | 38:74 | 28 |
| 17.გრააფსხაპი | 31 | 5 | 4 | 22 | 28:68 | 19 |
| 18.ექსელსიორი | 32 | 4 | 6 | 22 | 25:71 | 18 |

### პორტუგალია. ა ლიგა

ჟილ ვისენტე-გიმარაეში ... 3:1
მარიტიმუ-პორტუ ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 28 | 21 | 6 | 1 | 62:17 | 69 |
| 2.ბენფიკა | 27 | 19 | 5 | 3 | 60:24 | 62 |
| 3.ბრაგა | 28 | 18 | 5 | 5 | 56:26 | 59 |
| 4.სპორტინგი | 27 | 16 | 5 | 6 | 42:21 | 53 |
| 5.მარიტიმუ | 28 | 14 | 6 | 8 | 40:37 | 48 |
| 6.გიმარაეში | 28 | 13 | 3 | 12 | 36:37 | 42 |
| 7.ოლჰანენსე | 28 | 8 | 11 | 9 | 34:37 | 35 |
| 8.ნასიონალი | 27 | 10 | 5 | 12 | 39:47 | 35 |
| 9.ჟილ ვისენტე | 28 | 7 | 10 | 11 | 27:38 | 31 |
| 10.სეტუბალი | 27 | 8 | 6 | 13 | 23:42 | 30 |
| 11.ფერეირა | 27 | 8 | 5 | 14 | 32:48 | 29 |
| 12.რიუ ავე | 27 | 7 | 5 | 15 | 27:33 | 26 |
| 13.ბეირა მარი | 27 | 7 | 5 | 15 | 23:35 | 26 |
| 14.აკადემიკა | 27 | 5 | 8 | 14 | 23:35 | 23 |
| 15.ფეირენსე | 27 | 4 | 9 | 14 | 21:43 | 21 |
| 16.ლეირია | 27 | 5 | 4 | 18 | 23:48 | 19 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

**ა ჯგუფი**

ანჟი-ლოკომოტივი ... 3:1
რუბინი-ყუბანი ... 1:1
ცსკა-სპარტაკი ... 2:1
ზენიტი-დინამო ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 41 | 23 | 15 | 3 | 79:35 | 84 |
| 2.დინამო | 41 | 20 | 9 | 12 | 62:46 | 69 |
| 3.ცსკა | 41 | 18 | 15 | 8 | 68:44 | 69 |
| 4.სპარტაკი | 41 | 19 | 11 | 11 | 62:45 | 68 |
| 5.ანჟი | 41 | 18 | 12 | 11 | 49:37 | 66 |
| 6.ლოკომოტივი | 41 | 18 | 11 | 12 | 57:41 | 65 |
| 7.რუბინი | 41 | 16 | 16 | 9 | 49:35 | 64 |
| 8.ყუბანი | 41 | 15 | 13 | 13 | 47:42 | 58 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**1-6 ადგილებისთვის**

დანდი-ჰართსი ... 2:2
მოზერველი-სტ.ჯონსონი ... 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 34 | 27 | 3 | 4 | 75:20 | 84 |
| 2.რეინჯერსი | 34 | 24 | 4 | 6 | 68:25 | 66 |
| 3.მოზერველი | 35 | 17 | 7 | 11 | 48:42 | 58 |
| 4.დანდი | 35 | 14 | 11 | 10 | 59:45 | 53 |
| 5.სტ.ჯონსონი | 35 | 14 | 8 | 13 | 43:43 | 50 |
| 6.ჰართსი | 35 | 14 | 7 | 14 | 43:37 | 49 |

*რეინჯერსს დაკლებული აქვს 10 ქულა*

**7-12 ადგილებისთვის**

დანფერმლაინი-აბერდინი ... 3:0
კილმარნოკი-ინვერნესი ... 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.კილმარნოკი | 35 | 10 | 13 | 12 | 41:57 | 43 |
| 8.აბერდინი | 35 | 9 | 12 | 14 | 34:41 | 39 |
| 9.სტ.მირენი | 34 | 7 | 15 | 12 | 36:50 | 36 |
| 10.ინვერნესი | 35 | 8 | 8 | 19 | 39:60 | 32 |
| 11.ჰიბერნიანი | 34 | 6 | 9 | 19 | 34:63 | 27 |
| 12.დანფერმლაინი | 35 | 5 | 9 | 21 | 39:76 | 24 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ლუცერნი ... 2:2
სერვეტი-იანგ ბოიზი ... 2:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-ინსბრუკი ... 3:0
ნოიშტადი-ადმირა ... 1:4
მატერსბურგი-ზალცბურგი ... 0:1
შტურმი-კაფენბერგი ... 2:1

### ბელგია. პროლიგა

**პლეი ოფი**

გენტი-ბრიუგე ... 2:1
სტანდარდი-კორტრაიკი ... 2:0
ლოკერენი-ბეერსხოტი ... 3:1
მეხელენი-ლიერსი ... 1:1
მონსი-ვარეგემი ... 0:1
ლეუვენი-სერკლი ... 3:2

### საბერძნეთი. თასი

**ფინალი**

ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი .. 2:1(დდ)

### თურქეთი. სუპერლიგა

ტრაბზონი-გალათასარაი ... 2:4
ისტანბული-სივასი ... 4:2

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბუდეოვიცე-ლიბერეცი ... 0:4
ბანიკი-ჟიჟკოვი ... 3:1
სლოვაცკო-ტეპლიცე ... 0:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ვიძევი-ლეჩნა ... 0:1
ბელხატოვი-კორონა ... 0:2
რუხი-ლოძი ... 2:2

### უკრაინა. თასი

მეტალურგი(დ)-კარპატი ... 0:0(7:6პ)

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ორხუსი ... 5:3

### შვედეთი. ალსვენსკა

სირიანსკა-ჰეკენი ... 1:2
გიოტებორგი-ატვიდაბერგი ... 2:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

ლილესტრიომი-სტრომგოდსეტი 0:1
ვიკინგი-ჰაუგესუნდი ... 0:2
სტაბეკი-ოდ გრელანდი ... 0:2
ტრომსო-ჰონეფოსი ... 0:0
ფრედრიკსტადი-ულფი ... 3:4
სონგდალი-მიოლდე ... 2:1

### აშშ. მლს

მონრეალი-პორტლენდი ... 2:0
ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი ... 1:0
ფილადელფია-სან ხოსე ... 1:2
დ.ს.იუნაიტედი-ჰიუსტონი ... 3:2
კოლამბუსი-ვანკუვერი ... 0:1
ჩიკაგო-სიეტლი ... 1:2
კოლორადო-ჩივასი ... 4:0
სოლტ ლეიკი-ტორონტო ... 3:2
ლოს ანჯელესი-დალასი ... 1:1

### არგენტინა. კლაუსურა

სან მარტინი-გოდოი ... 1:0
ოლდ ბოიზი-ოლ ბოიზი ... 1:1
ბოკა-კოლონი ... 1:0
ინდეპენდიენტე-ბანფილდი ... 2:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ჩიკაგო-ფილადელფია ... 103:91
სერიის ანგარიში ... 1:0
მაიამი-ნიუ იორკი ... 100:67
სერიის ანგარიში ... 1:0
ინდიანა-ორლანდო ... 77:81
სერიის ანგარიში ... 0:1
ოკლაჰომა-დალასი ... 99:98
სერიის ანგარიში ... 1:0

## ჩოგბურთი

**ვტა. ფესი. თიხა**

**ფინალი**

პოუს ტიო-ბერტენსი ... 5:7;0:6

**ვტა. შტუტგარტი. თიხა**

აზარენკო-რადვანსკა ა. ... 6:1;6:3
კვიტოვა-შარაპოვა ... 4:6;6:7

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

რეინჯერსი-ვაშინგტონი ... 3:1
სერიის ანგარიში ... 1:0
სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი ... 1:3
სერიის ანგარიში ... 0:1

**ევროტური**

ჩეხეთი-ფინეთი ... 2:3(ოტ)
რუსეთი-შვედეთი ... 4:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ლიპარტელიანმა ევროპას საქართველო გაახსენა

ქართველმა ძიუდოისტმა ზაზა კედელაშვილმა 2008 წელს მოიგო ევროპის ჩემპიონატი და მას შემდეგ ამ რანგის ტურნირზე ყველაზე მაღალი სინჯის მედალი ჩვენებურს არ მოუპოვებია. ეს ნავსი ჩელიაბინსკში გამართულ კონტინენტის პირველობაზე ვარლამ ლიპარტელიანმა გატეხა და რუსეთის ქალაქში ქართული ჰიმნი ააჟღერა. ეს ტურნირის ბოლო დღეს მოხდა.

ლიპარტელიანმა პირველად ერთ-ერთი ტიტულოვანი ძიუდოისტი ესპანელის, დავიდ ალარზას ძლევით დაიწყო. ბრძოლა მართლაც რთული გამოდგა — ჩვენებური მეტოქეს გაფრთხილებებით გასცდა. ბრიტანელი ვინსტონ გორდონის დამარცხებას კი 2 წუთზე ოდნავ მეტი დრო მოუნდა. აზერბაიჯანელ ტიმურ ალიხანოვს იუკო აკმარა, ხოლო ფრანგი რომენ ბუფე ორწუთნახევარში დააიპონა. ფინალში კი მასპინძელთა ჯილას, გრიგორი სულემინს ულამაზესი გდებით მოუგო.

ლიპარტელიანის მსგავსად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი ლევან ჟორჟოლიანსაც ჰქონდა, მაგრამ მიზნამდე ბოლო ნაბიჯი დააკლდა — ფინალში ებრაელ არიელ ზეევთან ვაზარზე წამოეგო და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ შეხვედრამდე ჟორჟოლიანმა სამი მეტოქე ჩამოიშორა — პოლონელი რაფალ ფილეკი, ბელარუსი იაუჰენ ბიადულინი და გერმანელი დინო პფაიფერი.

არიელ ზეევმა ჟორჟოლიანის ძლევამდე ძირითად ბადეში ირაკლი ცირეკიძის ჩამოცილებაც მოასწრო. სამთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ტატამს დაბრუნებული ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ევროპირველობაზე უმედლოდ დარჩა. რეპეშაჟის ნახევარფინალში გადართულმა ცირეკიძემ აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვთან ორი იუკოთი წააგო და საბოლოოდ, მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ამ ორ მარცხამდე ქართველმა ძიუდოისტმა ლატვიელი იევგენის ნოროდავკოს დამარცხება მოასწრო.

მძიმეწონოსან ადამ ოქრუაშვილს სამეულამდე ერთი ნაბიჯიღა დააკლდა. ძირითად ბადეში რუმინელი ვლადუტ გეორგე სიმონესკუს წმინდად ძლევის შემდეგ, მეოთხედფინალში ლიტველ მარიუს პასკევიჩუსთან საკუთარ წამოწყებულ ილეთზე ბეჭებზე დავარდა და დამამშვიდებელ ეტაპზე გადაერთო. ჰოლანდიელ ლუუკ ვერბიჟს ორმოცი წამი აკმარა, მაგრამ „ბრინჯაოს ფინალში" პოლონელ იანუშ ვოინაროვიჩთან ველარას გახდა და მეხუთე ადგილი დაიკავა.

მძიმე წონაში საქართველოს დროშის ქვეშ ზვიად ხანჯალიაშვილმაც იჭიდავა, მაგრამ ტატამზე მხოლოდ ორჯერ



გავიდა. მერვედფინალში, სლოვენიელ მატიაჟ სერაჟთან, მაშინ, როდესაც ვაზარს იგებდა კისრულზე წამოეგო.

ჩელიაბინსკში ტატამზე ზურაბ ზვიადაურიც უნდა გასულიყო, მაგრამ, სავარაუდოდ, ტრავმის გამო კიმონო საერთოდ არ ჩაუცვამს.

როგორც გითხარით, ეს ყველაფერი ბოლო დღეს მოხდა, პირველ დღეს კი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრებმა, ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ლაშა შავდათუაშვილმა (66 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს და 72-72 სარეიტინგო ქულაც მიიმატეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს შედეგი შავდათუაშვილისთვის აღმოჩნდა, რომელმაც ჩელიაბინსკში ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც გამოიმუშავა. ამრიგად, ლონდონის ოლიმპიადაზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრება.

პაპინაშვილი სლოვენიელი მატიაჟ ტრბოვჩის, ებრაელი არტიომ არშანსკისა და ჰოლანდიელი ხეროენ მუურენის წმინდად ძლევის შემდეგ ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლას ნახევარფინალიდან გამოეთიშა, რუს ბესლან მუდრანოვთან წაგებით. რეპეშაჟის ფინალში კი ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს იპონით მოუგო.

შავდათუაშვილს საჩემპიონო გზა მასპინძელ ალიმ გადანოვთან მარცხის გამო ჩაეკეტა. ეს შედეგი მნიშვნელოვანწილად საოცრად არაობიექტურმა მსაჯობამ განაპირობა. ტატამის მსაჯმა გადანოვზე გაცილებით აქტიურ შავდათუაშვილს გამოგონილი გაფრთხილებებით წააგებინა. ამ შეხვედრამდე ქართველმა ძიუდოისტმა სომეხი არმენ ნაზარიანი და უკრაინელი სერგეი დრებოტი ჩამოიშორა.

რეპეშაჟში კი ესპანელ სუგოი ურიარტესა და ფრანგ დავიდ ლაროშს აჯობა. ბეთქილ შუკვანმა (60 კგ) და შალვა ქარდავამ (66 კგ) მე-7 ადგილი იკმარეს.

73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში საქართველოს სახელით ტატამზე ოთხი ძიუდოისტი გავიდა და მათგან საუკეთესო შედეგი ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) აჩვენა — მეხუთე ადგილი დაიკავა.

ბელარუსი ალექსანდრ სტიაშენკასა და აზერბაიჯანელი ელხან რაჯაბლის იპონებით ძლევის შემდეგ, ჭრიკიშვილმა ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, გერმანელ ალექსანდრ ვეიჟერზაკთან. დამამშვიდებელ ეტაპზე ფრანგ აქსელ კლერჟეს ვაზარ-იუკოთი აჯობა, მაგრამ რეპეშაჟის ფინალში ლატვიელ კონსტანტინს ოვჩინიკოვსთან დამატებით დროში დამარცხდა და კვარცხლბეკს მიღმა დარჩა.

ლევან წიკლაური (81 კგ) და ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ) ევროპირველობას მერვედფინალიდან გამოეთიშნენ. ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ) კი რუსულ ტატამზე ერთადერთხელ გავიდა.

ამრიგად, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი თითო ოქრო-ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით დაასრულა. ინდივიდუალური პირველობის საერთო გუნდურ ჩათვლაში კი პიტერ ზაიზენბახერის გუნდი მხოლოდ რუსეთის ნაკრებს ჩამორჩა.

# ყენია და რაული შალკეს ერთად გააცილა

ლევან ყენიამ გელზერკიხენის „შალკე" დატოვა. გერმანიის ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩში, სადაც გელზერკირხენელებმა 4:0 გაანადგურეს ბერლინის „ჰერტა", ქართველ ფეხბურთელთან ერთად გააცილეს, ლეგენდარული რაული, მათიას შრიობერი და ჰანს სარპეი.

შეგახსენებთ, რომ ყენია 4,5 წელი თამაშობდა „შალკეში" და მისი მაისური



ბუნდესლიგაში სულ 13-ჯერ მოირგო. ამის მიზეზი კი ქართველი ფეხბურთელის ტრავმები იყო. ბოლოს ნათელი გახდა, რომ ლევანს „შალკეს" დატოვება მოუწევდა და ასეც მოხდა. საინტერესო ის არის, რომ ჩვენებურს სხვა ფეხბურთელებთან ერთად გრანდიოზული გაცილება მოუწყეს.

ცხადია, ყველაზე დიდი პატივი რაულს ერგო, რომელმაც ემოციები ვერ დამალა.

— „შალკე" განსაკუთრებული კლუბია. ჩვენს გასვლით თამაშებზე 3-4 ათასი გულშემატკივარი დადის. ეს შეუდარებელია. საშინაო მატჩებზე კი ჩვენი სტადიონი ყოველთვის გადავსებულია. სიტყვები არ მყოფნის იმისთვის, რომ კლუბის მიმართ მადლიერება გამოვხატო. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი გუნდი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც სპორტული, ისევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ისიც ძალიან მახარებს, რომ ასეთ კლუბში ვთამაშობდი, — განაცხადა რაულმა.

# მეტალურგი სათავეში მოექცა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მდევრის როლში ვართ, ეს კი, ფსიქოლოგიურად რთულია. ვცდილობთ, სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ვფიქრობ, თამაშის მიხედვით, დღეს დამსახურებულად მოვიგეთ.

### მეხანი _ დინამო 1:3

**მარტვილი. ცენტრალური**

***0:1 ალვარო (17), 1:1 ჟვანია (61), კვეკვესკირი(75), ძარია (80)***

**მერანი:** შეროზია, ჟვანია (მელიავა 84), იობაშვილი, გეგეჭკორი, სუხიაშვილი, დიდავა, ე.გრიგალაშვილი, წოწორია, ფონიავა (ვართაგავა 55), ტაპე (ამბროლაძე 55), ტორონჯაძე

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, ხიზანეიშვილი, რეხვიაშვილი, ხმალაძე, ძარია, ოდიკაძე (ტვილდიანი 55), კოტო (კვეკვესკირი 61), ჩისკო, ალვარო (კოშკაძე 39), რობერტინიო

„დინამომ" 8-მატჩიანი მოუგებელი სერია „მერანთან" საშინაო მატჩით დაიწყო და სტუმრად დაასრულა. მე-17 წუთზე, ალვარომ წინ გამოსული ჯონი შეროზია შენიშნა და დაახლოებით 20 მეტრიდან, მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი და ბადეში გაახვია.

61-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. გრიგალაშვილმა კუთხური ჩააწოდა, დინამოელთა საჯარიმოში, ყველას მარტვილელთა კაპიტანმა გიგა ჟვანიამ აჯობა და თავურით გადაგზავნა კარისკენ.

მეცხრე ფრესგან „დინამო" ნიკა კვეკვესკირმა იხსნა, რომელმაც 75-ე წუთზე საჯარიმო ოსტატურად შეასრულა და მისიანები დააწინაურა. ხუთ წუთში ირაკლი ძარიამ მეტოქის ნახევარზე, ცენტრალურ ხაზთან ახლოს მიიღო ბურთი, სლალომისტივით აუარა გვერდი მცველებს და — 1:3.

### ბაია _ კოლხეთი 2:3

**ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა**

***1:0 ლომია (16პ), 1:1 აფაქიძე (18სკ), 1:2 პავლიაშვილი (28), 2:2 ლომია (56პ), 2:3 ქებაძე (77)***

**ბაია:** ჯომიდავა, ზარნაძე, გ.ქვარცხავა (კუკავა 46), ნ.შონია, კუტალია, სიხარულია, ეხვაია, შ.ლომია (ენდელაძე 61), აფაქიძე, ტყებუჩავა (პაჭკორია 69), ლევან აკობია

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ფოფხაძე, ლომაშვილი, ცხვიტარია, გაბუნია, გოგონაია, ცხადაია (კილასონია 60), ქებაძე, პავლიაშვილი (წაბრია 77), ტუღუში, ციცხვაია (ბოიომო 81)

მე-16 წუთზე პენალტით ანგარიში შოთა ლომიამ გახსნა, რომელმაც 56-ე წუთზე ასევე პენალტით ანგარიში გაათანაბრა. მანამდე ჯერ აფაქიძის ავტოგოლით, შემდეგ კი, ილია პავლიაშვილის გოლით ფოთელები იგებდნენ. თითქოს მეგრული დერბიც მშვიდობიანად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მასპინძლები მეკარემ დაალალატა. ქებაძემ ჯარიმიდან ბურთი მეკარის ბაქანზე ჩააწოდა, რომელსაც ჯომიდავა უპრობლემოდ დაეუფლა, მაგრამ მეკარემ თავი ვერ შეიმაგრა, ორი ნაბიჯი უკან გადადგა და ბურთიანად საკუთარ კარში აღმოჩნდა — 2:3.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მეტალურგი | 23 | 14 | 3 | 6 | 32:23 | 45 |
| 2.ზესტაფონი | 23 | 12 | 7 | 4 | 41:25 | 43 |
| 3.ტორპედო | 23 | 10 | 5 | 8 | 25:22 | 35 |
| 4.დინამო | 23 | 8 | 10 | 5 | 38:29 | 34 |
| 5.დილა | 23 | 7 | 7 | 9 | 25:24 | 28 |
| 6.კოლხეთი | 23 | 6 | 8 | 9 | 20:28 | 26 |
| 7.ბაია | 23 | 5 | 7 | 11 | 21:32 | 22 |
| 8.მერანი | 23 | 5 | 3 | 15 | 26:45 | 18 |

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 18 ბურთი; ჩისკო (დინამო) — 12; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) 11; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) — 9.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კულტურა

# არქეოლოგიური ძეგლების კვლევა დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

არის ცნობილი, ოზურგეთში „თეატრალური მოედნის" განახლების პროცესში ძველი აბანო აღმოჩნდა. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ოზურგეთის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციის პროცესი უკვე მოინახულეს, ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდნენ და მათ უშუალოდ გააცნეს „თეატრალური მოედნის" განახლების პროექტები. თანამედროვე არქიტექტურული შენობების მშენებლობისას გამოვლენილი ისტორიული მემკვიდრეობა — მიწისქვეშა ძეგლები თუ არტეფაქტები სახელმწიფოს მიერ დაცული და შენარჩუნებული იქნება. ოზურგეთის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციის პროცესში მშენებლებმა უძველეს არქეოლოგიურ ფენებს მიაკვლიეს. სპეციალისტების აზრით, ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური ნაშთები უძველეს აბანოს ეკუთვნის და დამატებით შესწავლას საჭიროებს. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და რამაზ ნიკოლაიშვილმა ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, ძველი აბანოს განვითარების კონცეფცია ერთობლივად განიხილეს და გადაწყვიტეს, რომ ძეგლის კონსერვაცია ოზურგეთის ცენტრალური მოედნის განვითარების პარალელურად განხორციელდება. ახალი აღმოჩენის დეტალური შესწავლა უკვე დაწყებულია, კვლევითი სამუშაობის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი გახდება ძველი აბანოს ზუსტი დათარიღება.

— გზების, ხიდების, სარკინიზო ინფრასტრუქტირის, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და ზოგადად ასეულობით ახალი ნაგებობის მშენებლობის დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური ფენების შესწავლისა და კონსერვაციის არაერთი განხორციელებული პროექტი ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების სამსახურში. უძველესი აბანოს გადარჩენა კიდევ ერთი პროექტი იქნება, რომელიც რეგიონების განვითარების პროცესში ახლად გამოვლენილი სიძველეების დაცვასა და პოპულარიზაციას გულისხმობს. ოზურგეთის ცენტრალურ მოედანზე შენობა-ნაგებობების სკვერისა და ახალი ინფასტრუქტურის შექმნის პარალელურად, დამთვალიერებლისთვის ძველი აბანო ახალი ინტერპრეტაციით — ღია მუზეუმის სახით, იქნება პრეზენტირებული და ოზურგეთის ცენტრის ერთ-ერთი მთავარი სანახაობა გახდება, — აღნიშნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა.

# კროსვორდები



1. ქცევის თავისებურება; 2. ... მეორე (საქართველოს მეფე); 3. გომბეშო; 4. განსაკუთრებული ნიჭი; 5. ჰერას ქურუმი ქალი; 6. უიტნი ... ; 7. ... სტრიპი; 8. ცხენის ჯოგი; 9. სახელმწიფო ატრიბუტი; 10. შოტლანდიური ნაგაზი; 11. ორგანული ნაერთი; 12. სრულყოფილება; 13. ქალაქი იაპონიაში; 14. აბატ ფარიას ციხე; 15. აზრი, ჩანაფიქრი; 16. წარჩინების ნიშანი; 17. სასტუმროს მსახური ბიჭი; 18. ელექტრომაგნიტური გამოსხივება; 19. კუდიანი ვარსკვლავი; 20. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 21. ჰავაის კუნძულებიდან ერთ-ერთი; 24. მსხვილი სეტყვა; 25. იმანუელ...; 26. იოკო ...; 27. ჩასაბერი საკრავი; 28. ქართული გაზეთი; 29. ნორვეგიის პარლამენტის ზედა პალატა; 30. გამომწვარი ფერადი თიხა; 31. მოსევადების ტექნიკა; 32. გარეული ღორი.

## წინა ნომრის გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარსალა; 2. მექსიკა; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. სახარება; 12. ბერნარდი; 13. მისხორი; 16. გაგრიფში; 17. გამპერი; 19. იყალთო; 20. ტერასა.

**თარაზულად:** 6. ჯარაექიმი; 7. დუაიენი; 8. ბრიუგე; 10. კაოლინი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ყარყუმი; 22. მენჯი; 23. ოსკარი; 24. ვირსალაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნამყო; 2. სუომი; 3. პლანეტა; 4. ფიჭა; 5. შუკა; 6. ნიქოზია; 9. ზურაბიშვილი; 10. წინანდალი; 11. შერმადინი; 14. კურსი; 16. გეიშა; 18. ნეილონი; 20. დოვლათი; 23. ჰასი; 24. ბანჯო; 25. ციყვი; 26. დოლი.

**თარაზულად:** 7. ალტრუიზმი; 8. პოპულაცია; 12. გენია; 13. თევზი; 15. ალაფი; 17. რქაწითელი; 19. სვავი; 21. დიელო; 22. წნევა; 27. ანდერსენი; 28. წყალბურთი.

# ამერიკის დაწესებული სანქციები შედეგს ვერ გამოიღებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

შეუწყვეტია ბირთვულ ბომბზე მუშაობა და დღემდე არ აღუდგენია. ამის დამადასტურებელი სამთავრობო განკარგულება არ არსებობს.

ეს ფაქტი ერთ რამეზე მეტყველებს – ირანი ყოველგვარი ობიექტური საბაბის გარეშე ისჯება სანქციებით. ვითარების გამოსწორებისთვის საჭიროა სანქციების მოხსნა, მაგრამ აშშ-ი ალოკავს თავის გადაფურთხებულს? ალბათ არა, ვინაიდან ირანის ე.წ. ბირთვული სამხედრო „პროგრამა" აშშ-ს გეოპოლიტიკური მიზნებისთვის იყო მოგონებული. ეს რომ ასეა, ამაში ეჭვის შეტანა ჭირს. აშშ-ს ბევრი ძალისხმევა დასჭირდება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად.

ერთობ უხერხულ დღეში ჩავარდნილი დასავლეთი, მედიის საშუალებით, ცდილობს იმიჯის გამოსწორებას. საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის ცნობილი ტელეკომპანიები, ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს სწორედ სანქციებმა აიძულეს ჯიუტი ირანი მოლაპარაკებაზე წასულიყო. თითქოს დასავლურმა ბრძნულმა პოლიტიკამ და ირანისთვის მშვიდობიანი გზით ხელის გრეხამ დასვა ირანი მოსალაპარაკებელ მაგიდასთან და ა.შ. არადა, სალეხის მიხედვით, თვით დასავლეთი გახდა იძულებული გადაედგა ეს ნაბიჯი. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით რეგიონმა და მსოფლიომ თავიდან აიშორა უსასტიკესი სამხედრო დაპირისპირება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბაღდადის შეხვედრაც კონსტრუქციულობით იქნება გამორჩეული.

ეკონომიკური ბლოკადის თემა უცხო არ არის აშშ-ს და მისგან გამომდინარე მსოფლიოსთვის. მთელი რიგი ქვეყნები – აშშ-ს მიერ „ბოროტებად" შერაცხულები თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სანქციების ქვეშ იმყოფებიან. მაგალითისთვის კუბა და ჩრდილო კორეა რად ღირს. აშშ-ს არ მოსწონს ქვეყნები, რომლებიც საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწევიან. მას დამჯერები უყვარს, ისეთები, როგორებიც ბალტიისპირა ქვეყნები, საქართველო, საუდის არაბეთი, ყატარი, საამიროები თუ სხვა ქვეყნებია. „ამერიკული ვარსკვლავი სულ არ ჰგავს იტალიურ ვარსკვლავს. ამბობენ, მას ბედნიერება მოაქვს, ოღონდ მაშინ, როცა ამერიკული ვარსკვლავი ძალაუფლებას აძლევს იმათ, ვინც მას მიჰყვება", – ალბერტო მორავია, „ჩოჩორა".

სულ ახლახან ლათინური ამერიკის ქვეყნების სამიტზე, აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ კუბა არ ასრულებს დემოკრატიული ცხოვრებისთვის საჭირო მოთხოვნებს. კუბა სოციალისტური მშენებლობის თანმიმდევრული მომხრეა, რაც გულზე არ ეხატება აშშ-ს. კუბის სისტემისა და ლიდერების მოსახრჩობად აშშ-მ უმკაცრეს სანქციებს მიმართა. ანალოგიურად მოიქცა ჩრდილო კორეის მიმართაც.

ორივემ გაძლო, გაუჭირდათ, მაგრამ არ დათმეს პოზიციები. სანქციებმა კარგი არაფერი მოიტანა. დაშინებული ჩრდილო კორეა იძულებული შეიქმნა წელის გაწყვეტამდე შემოეჭირა ქამარი და ისეთი არმია შეექმნა, რომელიც გაუძლებდა აშშ-ს მიერ ზურგგამაგრებული სამხრეთის შეტევას. ჩრდილოეთმა – საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად ბირთვული ბომბიც შექმნა. მას დღეს 8-12 ასეთი ბომბი აქვს. გარდა ამისა, კორეას 1.3 მილიონიანი კარგად გაწვრთნილი არმია ჰყავს, რომელსაც ვერაფერს დააკლებს აშშ-ს 30-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი – 50-კილომეტრიანი დემილიტარიზებული ზონის გასწვრივ განლაგებული.

რომ არა ამერიკის დაძალებით დაწესებული ეკონომიკური სანქციები, გაცილებით უკეთესი ვითარება იქნებოდა შექმნილი მსოფლიოში. რომ არა დასავლეთის შიში, ნიჭიერი ჩრდილოელები სამხრეთელ ძმებზე არანაკლები წარმატებული ქვეყნის შექმნას მოახერხებდნენ.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე ჩრდილო კორეა ყველა პარამეტრით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე სამხრეთი, მაგრამ აშშ-ს ძალისხმევით, გამუდმებული მუქარით – ჩრდილო კორეა იძულებული შეიქმნა, ნაცვლად სოციალური პირობების გაუმჯობესებისა, საკუთარი სუვერენიტეტის დაცვაზე ეზრუნა.

ჰეგემონიზმი, ერთპიროვნული მმართველობა, დიდი ქვეყნის ამბიციები, სამწუხაროდ, სხვას მოითხოვს – ძალისმიერ მოგუდვას. ამ ძალისმიერში სამხედრო ინტერვენციაც იგულისხმება და ახალ-ახალი იარაღის შექმნის მარათონშიც გამოწვევა. არ ჩაერთვები გამალებულ შეიარაღებაში და მეტოქე გადაგივლის. მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის კუბამ, ჩრდილოეთ კორეამ, ირანმა, სხვებმა მიიღეს გამოწვევა, არმიაც შექმნეს და იარაღიც, მაგრამ საკუთარი ხალხის სოციალური ყოფის გაუმჯობესებაში მოიკოჭლეს.

სწორედ ეს იყო და არის აშშ-ს ჰეგემონისტური მიზნები. მაგრამ ამ პოლიტიკამ სერიოზული ზიანი მიაყენა თვით მას. ეკონომიკური კრიზისი, მზარდი უმუშევრობა, სოციალური პირობების გაუარესება აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ ძველმოდური, დახავსებული პოლიტიკა ახლით არის შესაცვლელი. შეძლებს ამას აშშ-ი? ძნელი დასაჯერებელია, ვინაიდან მსოფლიო ჰეგემონიზმის იდეა საფუძვლიანად არის გამჯდარი მის გონებაში."

საერთაშორისო

## იულია ტიმოშენკოს გერმანიაში უმკურნალებენ

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დაადასტურა, რომ პატიმრობაში მყოფ უკრაინის ექს-პრემიერ მინისტრ იულია ტიმოშენკოს გერმანიაში სამკურნალოდ გადაყვანაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ანგელა მერკელმა განაცხადა, ტიმოშენკოს გამოკვლევის შემდეგ ექიმები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მისთვის უმჯობესია მკურნალობის კურსი გერმანიაში გაიაროს.



ტიმოშენკოს გერმანიაში გადაყვანის თაობაზე მოლაპარაკებები გერმანიისა და უკრაინის საგარეო უწყებების დონეზე მიმდინარეობს. მანამდე ანგელა მერკელს არაერთხელ უთქვამს, რომ უკმაყოფილოა ტიმოშენკოს პატიმრობის პირობებით.

ტიმოშენკოს პატიმრობის გამო რამდენიმე დღის წინ გერმანიის პრეზიდენტმა, იოაჰიმ გაუკმა უკრაინაში დაგეგმილი ვიზიტი გადადო.

თავის მხრივ, კლინიკა „შარიტეს" ექიმებმა, მაკს აინხოიპლმა და ნორბერტ ხაასმა მოუწოდეს უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს, ნება დაერთო ტიმოშენკოსთვის მკურნალობისთვის საზღვარგარეთ გამგზარებულიყო. მათივე მტკიცებით, იული ტომოშენკოს გამოკვლებების შედეგად ხერხემლისშორისი დისკების მწვავე თიაქარი დაუდგინდა.

იულია ტიმოშენკოს უკრაინულმა სასამართლომ 2009 წელს უკრაინისათვის გაზის მიწოდების საკითხში უფლებამოსილების გადაჭარბებისათვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## საფრანგეთში ბორის ბერეზოვსკის ქონება დააპატიმრეს

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ბერეზოვსკის საზღვარგარეთული ქონების დაპატიმრებას მიაღწია .



„ინტერფაქსის" ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობით, საფრანგეთში ბორის ბერეზოვსკის 13 მილიონის ევროს ოდენობის ქონება დააპატიმრეს.

გენპროკურატურის მონაცემებით, სულ 300 მილიონ დოლარის აქტივებზე გაცემულია დაპატიმრების ორდერები. კერძოდ, ორდერი გაცემულია შვეიცარიაში ბიზნესმენ იური ნიკიტინის ქონებაზე, რომლის საერთო ოდენობა 300 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ნიკიტინს კომპანიების „სოვკომფორტსა" და „ნოვოშიპ"-ის ქონების ძარცვაში ედება ბრალი.

გარდა ამისა, უკრაინაში დაპატიმრებულია ვინმე მიხაილოვის ქონება, რომლის ფასი 8 მილიონი აშშ დოლარია.

შეგახსენებთ, რომ თავად ბორის ბერეზოვსკიმ ამ დღეებში განაცხადა, რომ მზადაა, 50 მილიონი რუსული რუბლი გადაუხადოს მას, ვინც რუსეთის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს დააპატიმრებს.

რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ ბიზნესმენმა სოციალურ ქსელში, საკუთარ ბლოგზე დაწერა.

ბიზნესმენი ამტკიცებს, რომ რუსეთის მოსახლეობას სრული უფლება აქვს, არ დაუშვას პუტინი ს ინაუგურაცია, რომელიც 7 მაისს ჩატარდება. ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ პუტინმა ხელისუფლება ძალადობრივი გზით მიითვისა, რაც რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 278-ე მუხლით ისჯება.

მისივე თქმით, 7 მაისს პუტინი ს კორტეჟის კრემლში არ შეშვება და მისი დაპატიმრება არ ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, რადგან ეს იქნება კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მცდელობა.

თავად ბიზნესმენი აცხადებს, რომ პუტინი ს დაპატიმრების ოპერაციაში „ცნობილი მიზეზების გამო" ვერ მიიღებს მონაწილეობას თუმცა შეუძლია, „საკუთარი შენატანი განახორციელოს საერთო საქმეში" – 50 მილიონი რუბლი გადაუხადოს მას, ვინც პუტინს დააპატიმრებს. მისივე თქმით, ამ ჯილდოსთვის შეუძლიათ იბრძოლონ თავად პუტინი ს გარემოცვის წევრებმაც.

მისი განცხადებით, ეს თანხა შემთხვევით არ დაუსახელებია – თანხის ეს ოდენობა იყო დაწესებული ლიბიის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის დასაპატიმრებლადაც.

– მჯერა, რომ რაც ლიბიელმა ხალხმა გააკეთა, ამის გაკეთებას რუსი ხალხიც შეძლებს, – აცხადებს ბერეზოვსკი.

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების შესწავლის ცენტრის თანამშრომლები უსამძიმრებენ და მწუხარებას გამოთქვამენ კოლეგის, თამარ მხეიძის მეუღლის

**დავით დოლიძის**

გარდაცვალების გამო.

### ლიანა (ცაგო) რუხაძის გახსენება



ჩვენო საყვარელო დედიკო და ბებია, უკვე სამი წელი შესრულდა (30 აპრილი), რაც ექიმების გულგრილობისა და დაუდევრობის მსხვერპლი გახდი და აღარ ხარ, მაგრამ შენ მუდამ ჩვენთან ხარ. ჩვენ ამას ყოველდღე და ყოველ წუთს ვგრძნობთ. სამმა წელმა ისე გაიარა, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი. უშენობა ძალიან გვიჭირს, რას არ დავთმობდი შენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. მხოლოდ უფალმა იცის, თუ როგორ გვენატრები და გვჭირდები. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ დრო არაფრის მკურნალი არ ყოფილა.

ვიცი, უფალს თავისთან ეყოლები და მასთან ხარ. ნათელში იყავი და რბილი იყოს ის ადგილი, სადაც ხარ, ჩვენო უსაყვარლესო და მარად დაუვიწყარო დედიკო და ბებია.

*გულისტკივილით, მზია, ირმა, დათო, მარიკა და შვილთაშვილები.*

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@–ლფყ !& ცფფსფვლჯ8

## დევიდ კემერონს თანამდებობრივ გულგრილობაში ადანაშაულებენ

შოტლანდიის კარდინალი და რომის კათოლიკური ეპარქიის ხელმძღვანელი კიტ ო ბრაიენი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონს პოლიტიკას უწუნებს და მას თანამდებობრივ გულგრილობაში ადანაშაულებს.



უცხოური მედიის ინფორმაციით, შოტლანდიის კარდინალს მიაჩნია, რომ კემერონის მიერ გატარებული პოლიტიკა მდიდრებისთვისაა მომგებიანი და ეს ღარიბების ხარჯზე ხდება.

ბი-ბი-სითან ინტერვიუში ის აცხადებს, რომ მხარს უჭერს ფინანსური დაწესებულებების დამატებითი დაბეგვრის შესახებ ინიციატივას, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს მინიმუმ 30 მილიარდ დოლარს მოიტანს.

– ამ ფულით შეიძლება იმ ადამიანების პრობლემები გადაიჭრას, ვისაც ნაკლები შემოსავალი აქვს, – აღნიშნა რომის კათოლიკური ეპარქიის ხელმძღვანელმა.

ბრაიენის ინიციატივა ბრიტანეთის მთავრობამ არ გაითვალისწინა, რადგან ფიქრობს, რომ ის ლონდონის, როგორც მსოფლიო ფინანსური ცენტრის რეპუტაციას შეარყევს.

გასულ წელს მდიდარი ფენის წარმომადგენელთა მთლიანი შემოსავალი 5 %-ით გაიზარდა.

დევიდ კემერონი – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; ასაკი – 45 წლის; წლიური შემოსავალი – 225 ათასი დოლარი; ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული.

თანამდებობაზე მუშაობის პირველ დღეებში მას მარგარეტ ტეტჩერის მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა კი ის ბრიტანული მედიის კრიტიკის მთავარი ობიექტია.

კამერონს ევროკავშირთან წარმოებულ პოლიტიკას უწუნებენ და სიმხდალეში სდებენ ბრალს.

სულ ბოლო სკანდალი კი, რომელიც მის სახელს უკავშირდება, ტელეფონის მოსმენების გახმაურებულ საქმეს ეხება. კემერონმა სამსახურში აიყვანა გაზეთ „ნიუს იფ ზე უორლდის" ყოფილი მთავარი რედაქტორი – ენდრიუ კოლსონი, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ დამნაშავედ მიიჩნევა მოსმენების საქმეში. მისი სამსახურში აყვანის დროს კემერონმა იცოდა, რომ ტაბლოიდი სატელეფონო მოსმენებით იყო დაკავებული.

ამის მიუხედავად, კემერონს მსოფლიოს ყველაზე გავლენიანთა რეიტინგში საპატიო, მეათე ადგილი უკავია.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

ოhშაბათი
30 აპhილი

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** მხ. ფილმი **"ექსპრეს ინფორმაცია" 14.15** 10 პლუს 10 **15.15** ჩვენი ფერმა **16.00** მოამბე **17.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **17.30** ევროკავშირი და საქართველო **18.15** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"არც ასე, არც ისე" 20.00** მოამბე **21.00** სერ. **"დეტექტივი" 22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.30** მედიამონიტორი **00.30** საფარი **01.00** მოამბე **01.20** მხ. ფ.**"სერიული მკვლელი"** (15) (ჯ. ვუდსი) **03.00** მხ. ფილმი **"სამყაროთა ომი"** (15) (ტ. კრუზი) **05.05** მხ. ფ. **"საპნის ოპერა"**

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** ან. ფილმი **10.30** საბ. ფ. **"წითელქუდა" 12.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.00** მხ. ფილმი **"ჩვენ ანგელოზები არ ვართ" 14.30, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **16.45** სერ. **"ხუთი და" 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **20.00** მხ. ფილმი **"დედამიწის დასალიერისკენ" 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ნაფოტი"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან" 16.00** სერ. **"შურისძიების საფასური" 17.40** სერ. **"მეწამული ცა" 18.40** სერ. **"შურისძიების სახელით" 21.00** სერ. **"მიმკვიდრეები" 22.00** რომ გადახვალ, გააჩერე **22.15** სიმართლის დრო (გან.) **23.35** მუსიკალური ლიგა **01.00** "მან სან კანის" ჩემპიონთა ლიგა **01.55** მხ. ფ. **"ევროტური"** (15) **03.25** მხ. ფ. **"სიკვდილის მანქანა"** (15) (ვ. ენჯელი) **05.15** მხ.ფ.**"წყალქვეშა საპყრობილე"** (12) (ს. სიგალი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** იღბლიანი ბორბალი **17.00** სერ. **"ტერეზა" 18.45** სერ.**"მიყვარხარ ლოლა" 19.50** სერ.**"ველური ყვავილი" 22.00** ნიჭიერი **23.30** შერეკილები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია" 10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი" 13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** იცხოვრე ფეხბურთით **17.10** სერ. **"ველური მთვარე" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა" 21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სკოლის მეგობრები" 10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35** სერ.**"მონტალბანო" 13.50 1000** წვრილმანი **09.30** სერ. **"სკოლის მეგობრები" 16.30** დროის ვექტორი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სახლი ბათუმში **23.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **09.05** განთიადი **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **110.30** ლექსით ქებათა ქება **0.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"შერეკილები" 13.30** კონცერტი – ანს. "კელაპტარი" **15.30** სპექტაკლი **"გუშინწინ, გუშინ, დღეს" 17.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"ჩიორა" 20.40** ძილი ნებისა **21.20** სღვთისმეტყველო საუბრები _ დეკანოზტ მაქსიმე ჭანტურია **22.00** სიახლენი **22.25** დოკ. ფილმი "ფუტკრის დუმილი" **23.45** მოკ. ფილმი **"მე მხოლოდ გზავნილი ვარ" 00.35** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 aprili


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,639

ევრო —2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

## ამინდის პროგნოზი 30 აპრილისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9





# 25 აპრილიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მესამე ტომი

## კანიბალიზმის ისტორია







გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები

მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# პროექტი „დიდი ქართველები“

30 აპრილიდან გაგრძელდება ჟურნალ „გულახდილ საუბრებთან“ ერთად




გაიყიდება მე–17 ტომი

## ივანე ჯავახიშვილი

ფასი ჟურნალთან ერთად 8 ლარი

# 28 მარტიდან

ეკზოტიკური ვარიანტი

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 23-ე ტომი

ლ Þ F Y ჯ F

3!)) ობუყიბ4 იცლბც ბ3 ფლფვბფყსფ ,ბჯუ3ფაბც,ბ7 3ჯ3ცასფნ ლბლბ hეფაბ ლფნჯეცც 3ცჯააბჯ გჯაბნბhფიბ7 3ცნყბც3ც,ფცფ ლფ hუანუ3ფიბ8

უფატსბ ლფ ოზუყბ ტ3სფლ * კფ3ბ





## .ღცაფვ უფბსღფაბცობყცს=

წარმატებული დღეა

fcnhjghjuyjpb

#) ფგ3ბაბცსღბც

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, ფული გექნებათ. **ქალწული** — დღეს ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **სასწორი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ღრიანკალი** — ყურადღების ცენტრში ხართ და ეს მოგწონთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება და თქვენთვის რაღაც მოაქვს. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **მერწყული** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თევზები** — სახლში სიახლეა, თავს ბედნიერად იგრძნობთ.

უბცე3ღც,ს ,ცლყბც3 ლქცს=

## h3ჯცღჯ3ლბ ფ

**თარაზულად:** 5. მდინარის სადინარი; 7. რბილი ფერადი ფანქარი; 8. დაწნული ყურიანი ჭურჭელი; 10. სახურავი მასალა; 12. დატოტვილრქებიანი ცხოველი; 13. ბანქო; 14. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 18. ვულკანიდან ამოფრქვეული მასა; 20. პარლამენტის ზედა პალატა ამერიკაში; 23. ამინდი; 24. ......ამაღლობელი; 25. პროსპერ ...; 26. საკონდიტრო ნაწარმი; 27. სართულებად გამართული თაროები.

**შვეულად:** 1. ალლუმი; 2. თეატრალური სანახაობა; 3. მარცვლეული კულტურა; 4. საგაზეთო წერილი; 6. ცდის გარეშე; 9. სახის საცხი; 11. მდინარის თევზი; 15. ვისიმე გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული წერილი; 16. ნახევრად მაიმუნი; 17. ერთგვარი კანფეტი; 19. ჭიშკარი; 21. მაღაზია; 22. დიდი ხვლიკი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

